F-171
1985

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1985

თებერვალი № 2 февраль

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

F-5300

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სამეცნიერო საბჭოს და საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის 1984 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება

ძეგლის ნორჩ მეგობართა მე-4 რესპუბლიკური შეკრება-კონკურსის „ჩუქურთმის" შედეგებისა და მე-5 რესპუბლიკური შეკრება-კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სამეცნიერო საბჭო და საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ ძეგლის ნორჩ მეგობართა მე-4 რესპუბლიკური შეკრება-კონკურსი „ჩუქურთმა" ჩატარდა ქ. მცხეთაში მაღალ იდეურ და ორგანიზაციულ დონეზე.

ძეგლის ნორჩ მეგობართა მე-4 რესპუბლიკური შეკრება-კონკურსის დასკვნით ტურში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 50 რაიონისა და ქალაქის 169 მოსწავლემ, 100-მდე კოლექტივმა და ძეგლის ნორჩ დამცველთა საგუშაგომ.

ღონისძიებაში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი დმანისის რაიონის სოფელ ჯავახის, ადიგენის რაიონის სოფელ უდეს, საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორის, ტყიბულის ზონის სოფელ გელათის, ხაშურის რაიონის სოფელ იტრიის, მცხეთის 1-ლი, სოფელ ქსნისა და მისაქციელის, ქ. თბილისის მე-14 და 130-ე საშუალო სკოლების ძეგლის ნორჩი მეგობრები, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური, ქუთაისის, ცხინვალის, თელავის, გორის, სიღნაღის, ცხაკაიას, ონის, სამტრედიის, ზუგდიდის, გურჯაანის რაიონების, თბილისის კიროვის სახ. რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლებთან და სასახლეებთან არსებული ნორჩ მხარეთმცოდნეთა კლუბები და ძეგლის ნორჩ დამცველთა საგუშაგოები.

სექციურ სხდომებზე 70-ზე მეტი მოხსენება იქნა წაკითხული და მოსმენილი: „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი", „დავიცვათ ჩვენი ჩუქურთმიანი ანამედროვე", „ახლად აღდგენილი სოფლები ჩემს რაიონ-

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

ში", „ჩემი სოფლის ისტორიული ძეგლები", „მიუკვლეველი ძეგლები", „ჩემი საყვარელი გმირის ძეგლი", „საგუშაგო მემორიალის საქმიანობა" და სხვა. აღინიშნა, რომ წინა წლებთან შედარებით წლევანდელი მოხსენებები უფრო გამიზნული, მრავალფეროვანი და საინტერესო იყო, გამოიკვეთა რა მოსწავლეთა პრაქტიკული საქმიანობა ხუროთმოძღვრული, არქეოლოგიური, ისტორიულ-რევოლუციური ადგილების და საბრძოლო დიდების მემორიალების მოვლა-პატრონობის მიზნით.

შეკრება-კონკურსში ჩაებნენ რესპუბლიკის სკოლების, სკოლა-ინტერნატების, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებისა და სახლების ახალი წრეები, ადგილებზე შეიქმნა 500-ზე მეტი ძეგლის ნორჩ დამცველთა საგუშაგო, რომლებიც ეცნობოდნენ მათ მიკროორაიონებში მდებარე ძეგლებსა და ისტორიულ-რევოლუციურ ადგილებს, საბრძოლო დიდების მემორიალებს და, საერთოდ, ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს, აწესებდნენ მათზე მეთვალყურეობას. განსაკუთრებით იქნა წამოწეული ძეგლთა აღრიცხვა და პასპორტიზაციის საქმე, ძეგლთა დღევანადელი მდგომარეობის შესწავლა და აღწერა, რის შედეგადაც მოსწავლეებმა მიაკვლიეს და გამოავლინეს ბევრი უცნობი ძეგლი, ზოგიერთი მათგანი გადაარჩინეს მოსპობასა და განადგურებას.

შეკრება-კონკურსზე იგრძნობოდა რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებების, კომკავშირის კომიტეტების, ძეგლთა დაცვის ადგილობრივი საბჭოების ზრუნვა და დახმარება შეკრება-კონკურსის მონაწილე პიონერ-მოსწავლეებისადმი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შეკრების მასპინძლების მცხეთის რაიონის პარტიული და კომკავშირული ხელმძღვანელებისა და განათლების ორგანოების დიდი მხარდაჭერა და დახმარება შეკრება-კონკურსის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

ამასთან ერთად ღონისძიების ჩატარებისას გამოვლინდა რიგი ნაკლოვანებები.

ძეგლის ნორჩ მეგობართა წრეების ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი სათანადო ყურადღებას არ უთმობს საკვლევაძიებო და პრაქტიკულ საქმიანობას ძეგლთა დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის, აგრეთვე უცნობი ძეგლების მიკვლევასა და ნაკლებად ცნობილი ძეგლების აღრიცხვა-პასპორტიზაციის საქმეს, შემოფარგლულია რა მარტოოდენ საყოველთაოდ ცნობილი ძეგლებით.

შეკრება-კონკურსში საერთოდ მონაწილეობა არ მიუღიათ სოხუმის, წალკის, ყაზბეგის, ზნაურის, მესტიის, ოჩამჩირის, ტყვარჩელის, გაგრისა და გალის რაიონებს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სამეცნიერო საბჭომ და საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. ძეგლის ნორჩ მეგობართა მე-4 რესპუბლიკურ შეკრება-კონკურსზე „ჩუქურთმა" საუკეთესო მაჩვენებლების — ინფორმაციებისა და ნამუშევრების წარმოდგენისათვის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელით დაჯილდოვდეს 22 მოსწავლე (დანართი 1).

2. საქართველოს სსრ კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის სიგელით დაჯილდოვდეს სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა, ძეგლის ნორჩ მეგობართა 40 საგუშაგო (დანართი 2), ხოლო ფასიანი საჩუქრებით შეკრება-კონკურსის ყველა მოსწავლე.

3. ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სიგელებით დაჯილდოვდეს 25 მოსწავლე (დანართი 3).

4. ძეგლის ნორჩ მეგობართა მე-5 რესპუბლიკური შეკრება-კონკურსი „ჩუქურთმა" ჩატარდეს 1986 წლის ნოემბერში ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-17 რესპუბლიკურ შეკრებასთან ერთად, ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე.

5. დამტკიცდეს ძეგლის ნორჩ მეგობართა მე-5 რესპუბლიკური შეკრება-კონკურსის „ჩუქურთმის" საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა (დანართი 4).

6. საქართველოს სსრ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმმა საზოგადოების ბიუჯეტში გაითვალისწინოს საჭირო თანხა „ჩუქურთმის" მონაწილეთა ფასიანი საჩუქრებისათვის.

7. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს, კომკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, ძეგლთა დაცვის ადგილობრივ საბჭოებს:

ა) განაახლონ და ადგილებზე შექმნან ძეგლის ნორჩ მეგობართა შეკრება-კონკურსის „ჩუქურთმის" საოლქო, საქალაქო და რაიონული საორგანიზაციო კომიტეტები;

ბ) შეკრების ჩატარებაში ფართოდ ჩააბან სკოლები, სკოლა-ინტერნატები, საბავშვო სახლები, რაიონული და საქალაქო პიონერთა და მოსწავლეთა სახლები, სასახლეები და აგრეთვე სხვა სკოლისგარეშე დაწესებულებები;

გ) ადგილობრივმა პრესის ორგანოებმა სისტემატურად და ფართოდ გააშუქონ მასალები ძეგლის ნორჩ მეგობართა საგუშაგოების მიერ რეიდების, შაბათობებისა და რაიონული შეკრებების ჩატარებისა და მუშაობის შესახებ.

8. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაეკისროს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა), საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას (ამხ. ა. ალავერდაშვილი) და საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმს (ამხ. ი. ზაქარიაშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე. საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. მარგველიძე

საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსი ი. ციციშვილი

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ო. სანეგლიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეგლის ნორჩ მეგობართა მე-4 რესპუბლიკურ შეკრება-კონკურსში „ჩუქურთმა“ წარმატებების მოპოვებისათვის საქართველოს სსრ ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელით დაჯილდოებულ მოსწავლეთა სია:

1. მიქელაძე ნინო მერაბის ასული — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
2. ახვლედიანი ლევან შალვას ძე — თბილისის 130-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
3. სტეფანაძე ზვიად ჯემალის ძე — თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
4. ტურაშვილი იოსებ ვლადიმერის ძე — ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
5. იოსებიძე თამარ დავითის ასული — მცხეთის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
6. ამანათიძე დოდო ილიას ასული — მცხეთის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
7. ხამხაძე მაკა ბონდოს ასული — მცხეთის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
8. ხიზანიშვილი ნინო შალვას ასული — მცხეთის რაიონის სოფელ ქსნის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
9. თორელაშვილი თურმან შოთას ძე — ადიგენის რაიონის სოფელ უდეს საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
10. გაბოძე მარინე ყარამანის ასული — თბილისის მე-13 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
11. ხიზანიშვილი ეკატერინე გურამის ასული — მცხეთის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
12. გიუნაშვილი ზვიად — საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
13. გურაშვილი ნანა ნიკოლოზის ასული — თელავის რაიონის მე-4 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
14. მეთოდიშვილი ნატო ყარამანის ასული — თელავის რაიონის მე-5 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
15. საბეკია მიმია იუსტინეს ასული — ზუგდიდის მე-12 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
16. კიკვაძე დავით ბიძინას ძე — ტყიბულის რაიონის სოფელ გელათის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
17. ჩიკვაიძე ეკა ბონდოს ასული — თბილისის 130-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

18. ადუაშვილი ვეფხია შალვას ძე — დმანისის რაიონის სოფელ ჯავახის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

19. ადუაშვილი ილია გიორგის ძე — დმანისის რაიონის სოფელ ჯავახის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

20. მაისურაძე ვაჟა ზურაბის ძე — ონის რაიონის პიონერთა სახლის მხარეთმცოდნე, მე-10 კლასის მოსწავლე

21. წიკლაური იზა — მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე

22. ხარებაშვილი გიორგი კლიმენტის ძე — ონის რაიონის პიონერთა სახლის მხარეთმცოდნე, მე-8 კლასის მოსწავლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის საპატიო სიგელზე წარდგენილი წრეები და კოლექტივები:

1. თბილისის 130-ე საშუალო სკოლის ძეგლის ნორჩ დამცველთა საგუშაგო „დიღომი“

2. თბილისის კიროვის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის საგუშაგო „კრწანისი“

3. ბათუმის 21-ე საშუალო სკოლის ძეგლის ნორჩ დამცველთა საგუშაგო „თამარის ციხე“

4. ცხინვალის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ძეგლის ნორჩ დამცველთა საგუშაგო „ქვა მღერის“

5. ცხაკაიას რაიონის მე-7 საშუალო სკოლის ძეგლის ნორჩ დამცველთა საგუშაგო „ტეხურა“

6. ცხაკაიას რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ძეგლის მეგობართა საგუშაგო „ეგრისი“

7. ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ძეგლის ნორჩ დამცველთა საგუშაგო „მემორიალი“

8. მცხეთის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის ძეგლის ნორჩ მეგობართა საგუშაგოები „მატიანე“ და „ქართლის დედაბოძი“

9. ქ. გორის მე-3 საშუალო სკოლის ძეგლის მეგობართა საგუშაგო „ატენის ციხე“

10. მცხეთის რაიონის სოფელ ქსნის საშუალო სკოლის საგუშაგო „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი“

11. ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოქალაქევის საშუალო სკოლის ძეგლის მეგობართა საგუშაგო „ნაოხვამუ“

12. ცხაკაიას რაიონის სოფელ კოტიანეთის რვაწლიანი სკოლის ძეგლის მეგობართა საგუშაგო „კოტიანეთი“

13. საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდის ძეგლის მეგობართა საგუშაგო „ძეგლი“

14. მცხეთის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის ძეგლის მეგობართა საგუშაგოები „სვეტიცხოველი“, „სამთავრო, „ჯვარი“

15. ადიგენის რაიონის სოფელ უდეს 1-ლი საშუალო სკოლის ძეგლის მეგობართა საგუშაგო „უდე“

16. მცხეთის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ძეგლის მეგობართა საგუშაგო „მისაქციელი“

17. სიღნაღის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ძეგლის მეგობართა საგუშაგოები „სიღნაღის გალავანი“, „ბოდბე“ და „ვაქირი“

18. ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლის ძეგლის მეგობართა საგუ-შაგო „საფარა“

19. საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდის საშუალო სკოლის ძეგლის მეგობართა საგუშაგო „გიორგიწმინდა“

20. საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორის საშუალო სკოლის ძეგ-ლის მეგობართა საგუშაგო „მიუკვლეველი ძეგლები“

21. რუსთავის 22-ე საშუალო სკოლის ძეგლის მეგობართა საგუშა-გო „რუსთავი“

22. თეთრი წყაროს რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის ძეგლის მე-გობართა საგუშაგო „სამშვილდე“

23. თიანეთის რაიონის მ. გელოვანის სახელობის საშუალო სკო-ლის ძეგლის მეგობართა საგუშაგო „ცხრაკარა“

24. თელავის რაიონის პიონერთა სახლის ძეგლის მეგობართა საგუ-შაგო „ბურჯი“

25. ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა ძეგლის მეგობართა სა-გუშაგო „ნალიმა“

26. ტყიბულის რაიონის სოფელ გელათის საშუალო სკოლის ძეგლის მეგობართა საგუშაგო „გელათი“

27. სამტრედიის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ძეგ-ლის მეგობართა საგუშაგოები: „კარიბჭე“, „ღუზა“ და „ცისკარი“

28. ყვარლის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ძეგლის მეგობართა საგუშაგო „გრემი“

29. დმანისის რაიონის სოფელ ჯავახის საშუალო სკოლის ძეგლის მეგობართა საგუშაგო „უკვდავება“

30. თბილისის მე-14 საშუალო სკოლის ძეგლის მეგობართა საგუ-შაგო „ობელისკი“

31. მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის საშუალო სკოლის საგუ-შაგო „მემორიალი“

32. გორის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საგუშაგოები „მზეჭაბუკი“ და „უფლისციხე“

33. ხაშურის რაიონის სოფელ წრომის საშუალო სკოლის ძეგლის მეგობართა საგუშაგო „წრომა“

34. საჩხერის რაიონის სოფელ ჭალის საშუალო სკოლის ძეგლის მეგობართა საგუშაგო „დედალვთისა“

35. ხაშურის რაიონის სოფელ იტრიის ძეგლის მეგობართა საგუშა-გო „უკვდავება“

36. გურჯაანის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეო-ბის წრე

37. ონის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ძეგლის მეგობართა წრე

38. ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის საშუალო სკოლის ძეგლის მეგობართა საგუშაგო „აწყური“

39. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ძეგლის მეგობართა საგუშაგო „დღეგრძელობა“

40. ადიგენის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის საგუშაგო „ადიგენი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სიგელზე წარდგენილი მოსწავლეები:

1. სხვიტარიძე ნათია ავთანდილის ასული — თბილისის 65-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
2. მიქელაძე ირმა ათვანდილის ასული — ბათუმის 21-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
3. ქურიძე ირმა რომანის ასული — ბათუმის 21-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
4. ყაულაშვილი ლიანა მურმანის ასული — ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
5. ხუხუნი ხათუნა სერგოს ასული — ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოქალაქევის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
6. კოკაია ლია ნიკოლოზის ასული — ცხაკაიას რაიონის სოფელ კოტიანეთის რვაწლიანი სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
7. ქვრივიშვილი სოლომონ ქარუმის ძე — საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
8. კურტანიძე ლალი გუგუტის ასული — ახალციხის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
9. ჭაღიაშვილი ვასილ ავთანდილის ძე — ახალციხის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
10. ბუჟღულაშვილი მაია იმედას ასული — საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
11. ცომაია ეთერ სოსოს ასული — აბაშის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
12. კაჭარავა ერეკლე ავთანდილის ძე — აბაშის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
13. გაბუნია სოსო გიორგის ძე — აბაშის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
14. იუნანი მაია იერემიას ასული — რუსთავის 22-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
15. ჯაოშვილი მაია ალექსანდრეს ასული — რუსთავის 22-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
16. ქავთარაძე ლერი დავითის ძე — თეთრი წყაროს რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
17. გაგლოევი ნანა გიორგის ასული — თეთრი წყაროს რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
18. თურქიაშვილი მედეა ნიკოლოზის ასული — თიანეთის რაიონის მირზა გელოვანის სახელობის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე

19. ღვინარეული იზა ლუხუმის ასული — თიანეთის რაიონის მორგელოვანის სახელობის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

20. ოდიშელიძე ალექსი აკაკის ძე — თელავის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

21. ჭითანავა კახა გიგუშას ძე — ზუგდიდის მე-12 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

22. შენგელია ნონა რევაზის ასული — სამტრედიის რაიონის პიონერთა სახლის მე-8 კლასის მოსწავლე

23. ბარამიძე ნანა გივის ასული — სამტრედიის რაიონის პიონერთა სახლის მე-8 კლასის მოსწავლე

24. გაგუა ვენერა ჟორას ასული — სამტრედიის რაიონის პიონერთა სახლის მხარეთმცოდნე

25. ტეფნაძე მაია პავლეს ასული — ხაშურის რაიონის სოფელ იტრიის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

26. ხახვაძე ზურაბ სულიკოს ძე — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ მოლითის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

27. ბარბაქაძე მარეხ იუზას ასული — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ მოლითის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

28. ჯუჯუშვილი ნანა ვალერიანის ასული — ყვარლის რაიონის პიონერთა სახლის მე-8 კლასის მოსწავლე

29. ოსეფაშვილი ლია უშანგის ასული — მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

30. ზურაბიშვილი მაია გიორგის ასული — თბილისის მე-14 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

31. ნადირაძე კახა ვაჟას ძე — საჩხერის რაიონის სოფელ ჭალის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

32. მაჭავარიანი ლევან ბონდოს ძე — საჩხერის რაიონის სოფელ ჭალის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

33. აბაშიძე გოჩა გიორგის ძე — საჩხერის რაიონის სოფელ ჭალის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

34. ულუმბეგაშვილი ლელა ჯუმბერის ასული — ხაშურის რაიონის სოფელ იტრიის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

35. კორკოტაძე ნელი ფრიდონის ასული — ხაშურის რაიონის სოფელ იტრიის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

36. რაქვიაშვილი ირმა ჯიმშერის ასული — გურჯაანის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

37. იაკობიშვილი ლია ნოდარის ასული — გურჯაანის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

38. ჯაფარიძე ალექსანდრე აზამატის ძე — ონის რაიონის პიონერთა სახლის მე-8 კლასის მოსწავლე

39. მულაძე ჯანსუღ — ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

40. მეუროზაშვილი ნინელი — ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

41. ბურჯანაძე ვახტანგ ნიკოლოზის ძე — ქუთაისის პიონერთა სასახლის მხარეთმცოდნე

42. როხვაძე ხათუნა მიხეილის ასული — ქუთაისის პიონერთა სასახლის მხარეთმცოდნე

43. თათოშვილი ინინო ოთარის ასული — ადიგენის რაიონის პიონერთა სახლის მხარეთმცოდნე

44. თათოშვილი სოფიკო შოთას ასული — ადიგენის რაიონის პიონერთა სახლის მხარეთმცოდნე

45. ბერაძე კოკა ქრისტეფორეს ძე — ხაშურის რაიონის სოფელ წრომის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძელგის ნორჩ მეგობართა მე-5 რესპუბლიკური შეკრება-კონკურსის „ჩუქურთმის“ საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა:

1. ვ. ბერიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი (საოგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)

2. მ. დარჩია — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე)

3. მ. ხაჩიძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

4. ი. ციციშვილი — საქართველოს სსრ კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე (თავმჯდომარის მოადგილე)

5. თ. ჟღენტი — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი

6. თ. სანიკიძე —საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი

7. პ. ზაქარაია — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგე

8. ო. სანებლიძე — საქართველოს სსრ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

9. ე. ზარქუა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი

10. ა. ალავერდაშვილი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე

11. ი. ზაქარიაშვილი — საქართველოს სსრ კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების სწავლული მდივანი

12. დ. გოგიაშვილი — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მხარეთმცოდნეობისა და ტურიზმის განყოფილების გამგე

13. ნ. ქველაძე — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტის გამგე

14. გ. მღებრიშვილი — საქართველოს სსრ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე

15. ნ. ფაილოძე — გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ პასუხისმგებელი მდივანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გეოგრაფიის სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ სკკპ 26-ე ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1984 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკაში განხორციელების მიზნით სახალხო განათლების ორგანოები თანმიმდევრულ მუშაობას ეწევიან გეოგრაფიის სწავლების ხარისხის ამაღლების, მოსწავლეთა კომუნისტური მსოფლმხედველობის სულისკვეთებით აღზრდისათვის.

სასკოლო გეოგრაფიის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის დროულად ითარგმნა და დაეგზავნა სკოლებს გაუმჯობესებული პროგრამა გეოგრაფიაში და მისი დანართი. მომზადდა რეკომენდაციები მოქმედი სახელმძღვანელოების გამოყენების შესახებ, მომზადდა და გამომცემლობას გადაეცა დამხმარე ლიტერატურა მასწავლებლებისა და მოსწავლეთათვის, გამოიცა ლოტო საქართველოს ფიზიკურ გეოგრაფიაში, პლაკატები „ამინდზე დაკვირვება“ და სხვ. შეიქმნა და ადგილებზე დაეგზავნა ფილმოთეკებს სასწავლო ფილმი „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, მზადდება სცენარი სასწავლო ფილმისათვის „საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია“. ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს სსრ ფიზიკური გეოგრაფიის (VII კლასი) სახელმძღვანელოს მეთოდურ აპარატში, საგრძნობლად გაუმჯობესდა სახელმძღვანელოების პოლიგრაფიული დონე. 1982—1983 სასწავლო წლიდან ტარდება ტელეგაკვეთილები გეოგრაფიაში.

მასწავლებლებს დიდ დახმარებას უწევს გეოგრაფიული საზოგადოების სასკოლო სექცია, რომელიც მუდმივად ატარებს თათბირ-სემინარებს, გამსვლელ სესიებს საგნის სწავლების აქტუალურ პრობლემებზე, აწყობს სასწავლო ექსკურსიებს მასწავლებელთათვის.

რესპუბლიკის სკოლები დაკომპლექტებულია სათანადო ცენზის მქონე გამოცდილი მასწავლებლებით, რომლებიც კარგად ფლობენ გეოგრაფიის კურსის შინაარსსა და სწავლების ეფექტურ მეთოდებს, გაკვეთილის შინაარსს მჭიდროდ უკავშირებენ ვ. ი. ლენინის თეორიულ მემკვიდრეობას, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის სადირექტივო დოკუმენტებს, სამხარეთმცოდნეო მასალას, გეოგრაფიის პროგრამის გავლისას მოხერხებულად იყენებენ შრომით სწავლებას, ბუნების დაცვის ღონისძიებებს, პატრიოტული, ინტერნაციონალური, მეცნიერულ-ათეისტური აღზრდის საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების აქტივიზაციას, გეოგრაფიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტების სისტემატიზაციას, ბუნების მოვლენათა ახსნის, მსოფლმხედველური დასკვნების გაკეთებას. ბევრ სკოლაში შექმნილია სათანადოდ აღჭურვილი კაბინეტები და გეოგრაფიული მოედნები, რაც ხელს უწყობს სწავლების ეფექტიანობის ამაღლებას, კლასგარეშე მუშაობის გაშლას.

ამასთან, აღინიშნება ნაკლოვანებებიც:

F-5300

რესპუბლიკის სკოლების მასწავლებელთა 2,9%-ს არ აქვს სპეციალური განათლება, ბუნებისმცოდნეობას მე-4 კლასებში არასპეციალისტები ასწავლიან, სუსტია რიგი სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზა, ნაკლები ყურადღება ეთმობა კაბინეტების შევსებას თვითნაკეთი ხელსაწყოებით, არ არის ბარათები და ჩამოსარიგებელი მასალა პრაქტიკული მუშაობისათვის. სკოლებში ნაკლები ყურადღება ექცევა ამ საგანში შინასასკოლო კონტროლს. იშვიათად ხდება გეოგრაფიის სწავლების მდგომარეობის შესწავლა და განხილვა სკოლის პედაგოგიურ და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი კარგად არ იცნობს სასწავლო პროგრამას და სახელმძღვანელოს, ვერ ფლობს სწავლების მეთოდებს, დიდ დროს უთმობს ინდივიდუალურ გამოკითხვას, არ უნერგავს მოსწავლეებს დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებს, ეფექტიანად ვერ იყენებს საგნის აღმზრდელობით საშუალებებს, რის გამოც გაკვეთილები ერთფეროვანია, მოსაწყენი და არაფრის მომცემი.

გეოგრაფიის სწავლებაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს გეოგრაფიის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა (თან ერთვის).

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

2. 1. აღნიშნული გადაწყვეტილება განიხილონ კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე, განახორციელონ ღონისძიებანი გეოგრაფიის სწავლებაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, რისთვისაც:

2. 2. პერიოდულად შეისწავლონ სკოლებში გეოგრაფიის მდგომარეობა და საჭირო კონტროლი დააწესონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე;

2. 3. არსებითად გააუმჯობესონ სარაიონო, სასკოლათაშორისო და სასკოლო მეთოდგაერთიანებათა მუშაობა;

2. 4. სისტემატურად იზრუნონ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, გამოყონ საყრდენი სკოლები გეოგრაფიაში, მოაწყონ ისინი სწავლების თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად;

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. რესპუბ.

2. 5. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოწინავე მასწავლებლების მუშაობის გამოცდილების შესწავლა-განზოგადებას.

3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა:

3. 1. აღნიშნული გადაწყვეტილება განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, დასახონ და განახორციელონ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები და საშუალებები;

3. 2. ღრმა ანალიზი გაუკეთონ საგნის სწავლების მდგომარეობას, გააძლიერონ დახმარება და კონტროლი გეოგრაფიის მასწავლებელთა მუშაობაზე, იზრუნონ მათი იდეურ-პოლიტიკური, მეცნიერული ცოდნის ამაღლების, პედაგოგიური დახელოვნებისათვის;

3. 3. მიიღონ ზომები სასწავლო-მატერიალური ბაზების განმტკიცებისათვის.

4. მასწავლებლებმა:

4. 1. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა წარმართონ სკკპ 26-ე ყრილობის, საქართველოს კპ 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1984 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად;

4. 2. პროგრამული საკითხების შესწავლა მჭიდროდ დაუკავშირონ ცხოვრებას, ჩამოაყალიბონ მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევები;

4. 3. უზრუნველყონ პროგრამით გათვალისწინებული მოსწავლეთა იდეურ-თეორიული მომზადების დონე;

4. 4. სრულყონ მოსწავლეთა დამოუკიდებელი და პრაქტიკული მუშაობის მეთოდიკა, სხვადასხვა შინაარსის გეოგრაფიული რუკების წაკითხვის ხერხები, ადგილის ტოპოგრაფიული გეგმის შედგენა;

4. 5. იზრუნონ მოსწავლეებში დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ვ. ი. ლენინის ნაწარმოებების, სკკპ და საბჭოთა სახელმწიფოს სადირექტივო დოკუმენტების, პერიოდული პრესის მასალების შესწავლას, მხარეთმცოდნეობითი მასალების გამოყენებას;

4. 6. ხელი შეუწყონ მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, სახელმძღვანელოსა და სხვა დიდაქტიკურ მასალაზე დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული მოვლენების ახსნას, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას;

4. 7. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საშინაო დავალებების შესრულების ხარისხს;

4. 8. მრავალფეროვანი და საინტერესო გახადონ კლასგარეშე მუშაობა გეოგრაფიაში, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მხარეთმცოდნეობით საკითხებს;

4. 9. სისტემატურად ჩაატარონ პროგრამით გათვალისწინებული ექსკურსიები ბუნებასა და წარმოებაში;

4. 10. წესრიგში მოიყვანონ სასწავლო კაბინეტები, იზრუნონ თვითნაკეთი თვალსაჩინოებებით მათი შევსებისათვის;

4. 11. იზრუნონ საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებისა და მეთოდური დახელოვნებისათვის.

5. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. გვათუა) მასწავლებელთა დახელოვნების ადგილობრივ ინსტიტუტებთან ერთად:

5. 1. სისტემატურად შეისწავლოს გეოგრაფიის სწავლების მდგომარეობა, განაზოგადოს მოწინავე მასწავლებლების მუშაობის გამოცდილება;

5. 2. კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მუშაობაში ჩააბას მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ახალგაზრდა სპეციალისტებთან მუშაობას;

5. 3. პერიოდულად შეისწავლოს და გააანალიზოს კურესბგავლილ მასწავლებელთა მუშაობა.

6. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. შ. ამონაშვილი):

სისტემატური მუშაობა აწარმოოს საქართველოს სსრ ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის პროგრამების, ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების სრულყოფისათვის, მოაწყოს სამეცნიერო-მეთოდური სესიები, კონფერენციები გეოგრაფიაში. მეტი ყურადღება დაუთმოს თვალსაჩინო და დიდაქტიკური მასალების მომზადებას.

7. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი):

7. 1. უზრუნველყოს გეოგრაფიის მეთოდური, თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალების დროული და მაღალხარისხოვანი გამოცემა;

7. 2. განმეორებით გამოსცეს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა კრებული საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის;

7. 3. საქართველოს სსრ ფიზიკური გეოგრაფიისა და საქართველოს სსრ ეკონომიკური გეოგრაფიის სახელმძღვანელოების თანაავტორებად მოიწვიოს გამოცდილი პრაქტიკოსი მასწავლებლები.

8. რესპუბლიკურმა ფილმოთეკამ (ამხ. დ. გვალია) უზრუნველყოს სასწავლო კინოფილმის „საქართველოს სსრ ფიზიკური გეოგრაფია“ და დიაფილმების დროული გამოცემა.

9. ეთხოვოს გამომცემლობა „განათლებას“ (ამხ. ლ. ხუნდაძე) უზრუნველყოს მეთოდური ლიტერატურისა და საქართველოს კონტურული რუკების, სასწავლო ატლასების საჭირო ტირაჟით გამოცემა.

10. გაზეთ „სახალხო განათლების“, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების რედაქციებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, რ. ძერია) სისტემატურად გა-

აშუქონ გეოგრაფიის აქტუალური საკითხები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებას.

11. ეთხოვოს საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებას აღძრას შუამდგომლობა ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ხელმძღვანელობის წინაშე სკოლებისათვის ხელსაწყოების გამოყოფის შესახებ.

12. სკოლების სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი) პერიოდულად შეისწავლოს გეოგრაფიის სწავლების მდგომარეობა რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში.

მანვე კონტროლი დააწესოს აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად გეოგრაფიის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა (1985—1990 წ.წ.)

№	შესასრულებელი საკითხები	შესრულების ვადა	შემსრულებელი
1	2	3	4
1	თათბირ-სემინარის მომზადება და ჩატარება თემაზე: გეოგრაფიის სწავლების აქტუალური საკითხები სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა შუქზე	1984 წლის I კვარტალი	სკოლების სამმართველო, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტები, გეოგრაფიული საზოგადოება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	საკავშირო თათბირ-სემინარის „გეოგრაფიის სწავლების მეთოდებისა და ფორმების სრულყოფის პრობლემები“ მუშაობაში მონაწილეობის მიღება	1986 წელი	სკოლების სამმართველო, პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტები, მოწინავე მასწავლებლები
3	გამსვლელი სამეცნიერო სესიების ჩატარება გეოგრაფიის მეცნიერებისა და სწავლების აქტუალურ პრობლემებზე (შერჩევით)	ყოველწლიურად აპრილი, სექტემბერი	სკოლების სამმართველო. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტები, პედაგოგიური და გეოგრაფიული საზოგადოებები, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, რესპუბლიკის ქალაქების მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტები
4	სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება (მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების მუშაობის ანგარიშები)	ყოველი წლის ბოლოს	მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, რესპუბლიკის ქალაქების მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტები

1	2	3	4
5	სასკოლო ბიბლიოთეკებისა და მოსწავლეების უზრუნველყოფა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებების კრებულით	1986 წელი	სახელმძღვანელოების სამმართველო
6	საქართველოს სსრ ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის სახელმძღვანელოების (VII, VIII კლ.) გადამუშავება	1986—1990 წლები	სახელმძღვანელოების სამმართველო
7	სასწავლო ფილმებისა და დიაფილმების შექმნა პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად (კლასების მიხედვით)	1985—1990 წლები	სკოლების სამმართველო, რესპუბლიკური ფილმოთეკა
8	მეთოდური წერილის მომზადება თემაზე: „ლექცია-სემინარები“ გეოგრაფიის გაკვეთილებზე და მისი პუბლიკაცია	1985 წელი	ქ. თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქცია
9	მეთოდური სახელმძღვანელოს მომზადება გეოგრაფიის ფაკულტატიური კურსებისათვის	1987 წელი	მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი
0	გეოგრაფიის მოწინავე მასწავლებლების მუშაობის გამოცდილების შესწავლა-განზოგადება	1986, 1987, 1988 წლები	სკოლების სამმართველო, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრლური ინსტიტუტი
1	დიდაქტიკური მასალების შექმნა, დამხმარე მეთოდური ლიტერატურის თარგმნა	1985—1990 წლები	სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო
2	გეოგრაფიის სასწავლო ტელეგადაცემათა ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა	1985—1990 წლები	მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი
3	საყრდენი სკოლების შექმნა გეოგრაფიაში, მათი სათანადო მოწყობა	1985—1990 წლები	სკოლების სამმართველო, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, განათლების განყოფილებები
4	სასწავლო რუკების, საქართველოს ატლასის, საქართველოს კონტურული რუკების გამოცემა		გეოგრაფიის ინსტიტუტი, სახელმძღვანელოების სამმართველო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობა

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გეოგრაფიის სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სკკპ 26-ე ყრილობისა და სკკპ ცკ აპრილის (1984 წ.) პლენუმის წარმატებით შესრულებაში გარკვეული როლი ენიჭება გეოგრაფიის კურსის სწავლებას.

ამჟამად მოქმედი გეოგრაფიის გაუმჯობესებული პროგრამა ითვალისწინებს იდეურ-აღმზრდელობითი მიმართულების გაძლიერებას, სასწავლო პროცესის შემდგომ სრულყოფას,ყოველი გაკვეთილის ეფექტურობის ამაღლებას, მოსწავლეთა შემეცნებითი აზროვნების განვითარებას, საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

დასმული ამოცანების წარმატებით განხორციელების მიზნით ითარგმნა და სკოლებს დაეგზავნა სრულყოფილი პროგრამა, პროგრამის დანართი-რეკომენდაციები მოქმედი სახელმძღვანელოების გამოყენების შესახებ და სხვ.

გეოგრაფიული საზოგადოების ბაზაზე, განათლების სამინისტროს, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი და დახელოვნების ინსტიტუტების გეოგრაფიის მეთოდკაბინეტების მონაწილეობით მოეწყო სრულყოფილი პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის კოლექტიური განხილვა, ჩატარდა თათბირები მეთოდკაბინეტის მეთოდისტებთან, მოეწყო გამსვლელი სემინარები რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში. სემინარებზე განხილულ იქნა გეოგრაფიის სწავლების აქტუალური საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოწინავე მასწავლებლების, მასწავლებელ-მეთოდისტებისა და უფროსი მასწავლებლების მუშაობის გამოცდილების პროპაგანდას.

ქ. თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ბაზაზე (ამხ. ნ. დარჩიაშვილი) მოეწყო თბილისის სკოლების გეოგრაფიის მასწავლებელთა მუშაობის განზოგადება, გეოგრაფიული წრეების ნამუშევართა გამოფენა.

ქ. ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის (ამხ. შ. ავალიანი) და ქალაქის მეთოდკაბინეტის (ამხ. მ. რიჟინაშვილი) მიერ შესწავლილ და განზოგადებულ იქნა ქ. ქუთაისის მე-12 და მე-19 საშუალო სკოლების მასწავლებლების ა. ჭულუხაძისა და დ. გიორგაძის, ტყიბულის ზონის სოფელ კურსების საშუალო სკოლის მასწავლებლის ვ. ბეროძის მუშაობის გამოცდილება.

ჩატარდა თვითნაკეთი ხელსაწყოების დათვალიერება.

ქ. ქუთაისში ჩატარდა „გეოგრაფიის ერთთვიური", რომელიც ითვა-

ლისწინებდა ღია გაკვეთილების ჩატარებას გეოგრაფიის ყოველი კურსის და პროგრამის რუბრიკის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის სწავლების გაუმჯობესების მიზნით მომზადდა და გამომცემლობას გადაეცა 7 დასახელების ლიტერატურა მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, გამოიცა ლოტო საქართველოს ფიზიკურ გეოგრაფიაში, პლაკატები „ამინდზე დაკვირვება“ და სხვ. შეიქმნა და ფილმოთეკას დაეგზავნა სასწავლო ფილმი „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ (ეკონომიკური), რომელმაც ამიერკავკასიის რესპუბლიკების სასწავლო ფილმების ფესტივალზე დაიმსახურა პრიზი „საუკეთესო სასწავლო ფილმისათვის“. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სასწავლო ფილმის „საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია“ სცენარზე.

გამოიცა რუკები: საქართველოს ეკონომიკური რუკა (ზოგადი), საქართველოს მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, აგროკლიმატური რესურსები, ამიერკავკასია (ეკონომიკური) და სხვ.

შეტანილია ცვლილებები საქართველოს სსრ ფიზიკური გეოგრაფიის სახელმძღვანელოს მეთოდურ აპარატში. ანალოგიური ცვლილებები იქნება შეტანილი საქართველოს სსრ ეკონომიკური გეოგრაფიის სახელმძღვანელოს მეთოდურ აპარატში.

1982—1983 სასწავლო წლიდან შემოღებულია ტელეგაკვეთილები გეოგრაფიაში.

დიდ დახმარებას უწევს მასწავლებლებს გეოგრაფიული საზოგადოების სასკოლო სექცია, რომელიც ყოველთვიურად ატარებს თათბირ-სემინარებს, გამსვლელ სესიებს გეოგრაფიის სწავლების აქტუალურ საკითხებზე, აწყობს სასწავლო ხასიათის ექსკურსიებს მასწავლებელთათვის.

რესპუბლიკის სკოლები ძირითადად დაკომპლექტებულია სათანადო ცენზრისა და გამოცდილების მქონე მასწავლებლებით. დღეისათვის გეოგრაფიის მასწავლებელთა რიცხვი შეადგენს 3642 კაცს, მათგან უმაღლესი განათლებით არის 3370, დაუმთავრებელი უმაღლესი—182, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი (მეთოდკაბინეტის გამგე ნ. ბუაძე) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას გაუმჯობესებული პროგრამის შესაბამისად, ყოველწლიურად ეწყობა კონფერენციები რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში, სადაც ანგარიშით გამოდიან მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების მეთოდკაბინეტების გამგეები, ახალგაზრდა სპეციალისტები ყურადღების ცენტრში არიან და მათთან სისტემატური მუშაობა ტარდება

განათლების სამინისტრომ მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ და ქ. თბილისის ინსტიტუტებთან ერთად შეისწავლა გეოგრაფიის სწავლების მდგომარეობა რესპუბლიკის რიგ ქალაქებსა და რაიონებში შერჩევით. შემოწმების მიზანი იყო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმჯობესებული პროგრამით სწავლების მდგომარეობის შესწავლა;
როგორ ხორციელდება გეოგრაფიის გაკვეთილებზე სკკპ 26-ე ყრილობის მასალების, სკკპ ცკ და საბჭოთა სახელმწიფოს სადირექტივო დოკუმენტების, ვ. ი. ლენინის ნაწარმოებების შესწავლა;
როგორია მოსწავლეთა ცოდნის დონე;
სასწავლო პროგრამებით, საჭირო ლიტერატურითა და სასწავლო თვალსაჩინოებით სკოლების უზრუნველყოფა;
კლასგარეშე მუშაობის ორგანიზაცია;
საგანთაშორისო კავშირების განხორციელება გეოგრაფიის გაკვეთილებზე;
მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება;
მეთოდკაბინეტების მუშაობა;
გეოგრფიის კაბინეტების დათვალიერება.

გეოგრაფიის სწავლების მდგომარეობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გეოგრაფიის მასწავლებლებს კარგად აქვთ შეგნებული გეოგრაფიის როლი მოსწავლეთა აღზრდის საქმეში. ისინი, გეოგრაფიის კურსის წინაშე დასმული ამოცანების განხორციელების მიზნით, ყოველდღიურ შემოქმედებით პრაქტიკულ საქმიანობას ეწევიან, გარკვეულ ღონისძიებებს ატარებენ საგნის მაღალ დონეზე სწავლებისათვის. მასწავლებლები ა. ჭულუხაძე, დ. გიორგაძე, გ. ბრეგაძე, ი. ლისინა (ქ. ქუთაისის მე-12, მე-19, 32-ე საშუალო სკოლები), ი. ეცეტაძე, ი. გოცირიძე, ი. ჭანტურია ,ნ. ჭეიშვილი, თ. ღარიბაშვილი, დ. ჯიბუტი (ქ. თბილისის 23-ე, 39-ე, 75-ე, 88-ე, 124-ე, 147-ე საშუალო სკოლები), ნ. ცუცქირიძე (ქ. ჭიათურის მე-2 საშუალო სკოლა), ვ. ბერიძე (ტყიბულის ზონის სოფელ კურსების საშუალო სკოლა), ნ. ჭოლოკავა, მ. კირთაძე, ნ. კაპანაძე, ა. ჩაკვეტაძე (წყალტუბოს ზონის 1-ლი, მე-2, სოფლების ოფშკვითის, მაღლაკის საშუალო სკოლები), ა. ობოლაშვილი (ადიგენის რაიონის სოფელ უდეს საშუალო სკოლა), კ. შავიშვილი (მახარაძის რაიონის მე-3 საშუალო სკოლა), ნ. პაიჭაძე, რ. ჯინჭარაძე, ო. ზამბახიძე (ჩოხატაურის რაიონის მე-2, სოფლების ერკეთის, ჩაისუბნის საშუალო სკოლები), ნ. ორაგველიძე (ლანჩხუთის რაიონის სოფელ მუხუთის საშუალო სკოლა), დ. ქაჩლიშვილი (საგარეჯოს რაიონის მე-4 საშუალო სკოლა), ვ. ნაჭყებია (ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საშუალო სკოლა) და სხვ. კარგად ფლობენ ყოველი კურსის შინაარსსა და სწავლების ეფექტურ მეთოდებს, აქვთ ღრმა პროფესიული ცოდნა, მისაწვდომად გადასცემენ სასწავლო მასალას, გაკვეთილის შინაარსს მჭიდროდ უკავშირებენ თანამედროვე ცხოვრებას; სწავლებაში ფართოდ იყენებენ ვ. ი. ლენინის თეორიულ მემკვიდრეობას, სკკპ და მთავრობის სადირექტივო დოკუმენტებს, სამხარეთმცოდნეო მასალებს. ისინი გეოგრაფიის საპროგრამო მასალას მოხერ-

ხებულად უკავშირებენ შრომითი სწავლების, ბუნების დაცვის ღონისძიებებს, პატრიოტული, ინტერნაციონალური, მეცნიერულ-ათეისტური აღზრდის საკითხებს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების აქტივიზაციას, როგორც გაკვეთილზე, ასევე კლასგარეშე მუშაობაშიც. მათ მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი გეოგრაფიული ფაქტების სისტემატიზაციასა და განზოგადებას, ბუნების მოვლენათა ახსნას, მსოფლმხედველური დასკვნების გაკეთებას ზოგადი ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული ცნებების ჩამოყალიბებას.

გაკვეთილის ეფექტურობისა და ხარისხის ამაღლების მიზნით ფართოდ იყენებენ სწავლების ისეთ ფორმებს როგორიცაა ლექცია-სემინარი, გაკვეთილი-პრესკონფერენცია და სხვ. ცდილობენ, რომ ყოველმა გაკვეთილმა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესების განვითარებას, ცოდნის დამოუკიდებლად შევსებას, შრომისადმი სიყვარულის აღზრდას, მეცნიერბათა საფუძვლების შესწავლას და მათ კავშირს ცხოვრებასთან. დიდი მნიშვნელობა ენიჭება თეორიულ ცოდნას, მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ახსნას, დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაციას სახელმძღვანელოს ტექსტზე, რუკებზე, საცნობარო მასალებზე და სხვ.

მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის სრულყოფის უმნიშვნელოვანესი პირობაა — სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცება. ამ მიმართებით დიდი მუშაობაა ჩატარებული გეოგრაფიის მასწავლებელთა მიერ.

უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად განმტკიცდა სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, შექმნილია გეოგრაფიის სასწავლო კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია საჭირო თვალსაჩინოებით, რუკებით, თვითნაკეთი ხელსაწყოებითა და ცხრილებით, მეთოდური ლიტერატურით. გაფორმებულია სტენდები: „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა XI ხუთწლედში", „ხუთწლედის მშენებლობანი საქართველოში", „საკუთარი რაიონის განვითარების პერსპექტივები" და სხვ. რიგ სკოლებში, განსაკუთრებით სოფლად, მოწყობილია გეოგრაფიის სასწავლო მოედნები. დღეისათვის რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შექმნილია 1392 სასწავლო კაბინეტი, მათგან 890 სოფლად. კარგად აღჭურვილი კაბინეტებია მოწყობილი ქ. თბილისის 56-ე, 124-ე, ქ. ქუთაისის მე-12, 32-ე, ქ. ჭიათურის მე-2, ქ. წყალტუბოს მე-2, ქ, ტყიბულის ზონის სოფელ კურსების, ადიგენის რაიონის სოფელ უდეს საშუალო სკოლებში.

ყურადღებას იმსახურებს ქ. ტყიბულის ზონის სოფელ კურსების საშუალო სკოლის კომპლექსური სასწავლო მოედანი.

ქუთაისის მე-12 საშუალო სკოლის გეოგრაფიის კაბინეტისა და სოფელ კურსების საშუალო სკოლის სასწავლო მოედნის მაკეტები ექსპო-

ნირებული იყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, სადაც ვერცხლის მედალი დაიმსახურეს. აღნიშნული სკოლების მუშაობის გამოცდილების განზოგადება მოეწყო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბაზაზე. ქუთაისის მე-12 საშუალო სკოლის გეოგრაფიის კაბინეტში გამოყოფილია მოსწავლე ლაბორანტები და ბიბლიოთეკარები, რაც ხელს უწყობს საპროფორიენტაციო მუშაობას.

ბევრ სკოლაში მოწყობილია მხარეთმცოდნეობის კუთხე, შეგროვილია საინტერესო მასალა, მთის ქანების ნიმუშები, მინერალები, წიაღისეული, გაქვავებული მცენარეები, შეისწავლება ადგილობრივი საწარმოები და სხვ. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებენ ქუთაისის მე-12, მე-19, 32-ე, ქ. ჭიათურის მე-2, ქ. ტყიბულის ზონის სოფელ კურსების, ადიგენის რაიონის სოფელ უდეს საშუალო სკოლები, რომლებიც წლების მანძილზე სწავლების ფორმებისა და მეთოდების პრობლემებზე მუშაობენ. ისინი სისტემატურად აცნობენ მოსწავლეებს სკკპ და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ფართოდ იყენებენ თანამედროვე ინფორმაციას, ხელს უწყობენ მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, მყარი ცოდნის შეძენას.

სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი კლასგარეშე მუშაობას გეოგრაფიაში. ეწყობა ექსკურსიები, რომლის დროსაც ხდება სხვადასხვა ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული ობიექტების შესწავლა.

გეოგრაფიის სწავლების მდგომარეობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ აღნიშნული მუშაობის შედეგად მოსწავლეები დამაკმაყოფილებლად ფლობენ საპროგრამო მასალას. კერძოდ, მე-4 კლასის მოსწავლეები კარგად ერკვევიან არაცოცხალი და ცოცხალი ბუნების ურთიერთკავშირში, ნიადაგების წარმოქმნის პროცესებში, საკუთარი ღერძისა და მზის ირგვლივ დედამიწის ბრუნვაში და სხვ.

მე-5 კლასის მოსწავლეებს გამომუშავებული აქვთ გეოგრაფიისათვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები. ამჟღავნებენ საგნის მყარ ცოდნას, შესწევთ უნარი გამოიყენონ ტიპური გეგმები ობიექტის დახასიათებისათვის, აწარმოონ ამინდზე დაკვირვება, იციან საკუთარი რაიონის ბუნების თავისებურებანი.

მეექვსეკლასელები ამჟღავნებენ ცალკეული კონტინენტის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათების შედგენის უნარს, დამაკმაყოფილებლად იციან საპროგრამო მასალა, შეუძლიათ რუკის საშუალებით დამოუკიდებლად განსაზღვრონ ობიექტის გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნების თავისებურებანი. კარგად იყენებენ შედარების მეთოდს.

მეშვიდეკლასელებს კარგად აქვთ ათვისებული სსრ კავშირის ბუნების თავისებურებანი, მისი დაცვის ძირითადი ღონისძიებანი. შეუძლიათ დამოუკიდებლად აწარმოონ დაკვირვება ბუნებაზე, დამოუკიდებელი

მუშაობა სხვადასხვა შინაარსისა და მასშტაბის მქონე რუკებზე, ბუნებრივი კომპლექსების დახასიათება რუკის საშუალებით.

მერვეკლასელები კარგად ერკვევიან ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და განლაგების ძირითად კანონზომიერებებში, იცნობენ სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივებს, შესწევთ უნარი დაადგინონ ურთიერთკავშირები ცალკეულ დარგებს შორის, დამოუკიდებლად შეადგინონ ობიექტის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგის, ეკონომიკური რაიონის დახასიათება, გააკეთონ სტატისტიკური მასალის ანალიზი და დასკვნები.

მეცხრეკლასელებს კარგად აქვთ ათვისებული მსოფლიოს პოლიტიკური რუკა, შრომის საერთაშორისო დანაწილების ძირითადი ნიშნები, ცალკეული ქვეყნის მეურნეობის განვითაების თავისებურებანი და სპეციფიკა, შეუძლიათ ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათების შედგენა ტიპური გეგმის მიხედვით, დამოუკიდებელი მუშაობა სახელმძღვანელოზე, ცხრილებზე, რუკებზე, დიაგრამებზე. ამდენად, მოსწავლეებში თანმიმდევრულად ყალიბდება მატერიალისტური შეხედულება ბუნების კანონების შეცნობის, სწორი შეხედულება ბუნებრივი კომპლექსის კომპონენტების, გეოგრაფიული გარსის მრავალფეროვნებათა მიზეზების შესახებ.

მოსწავლეთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, აგრეთვე, ხელს უწყობს სწავლებაში მხარეთმცოდნეობითი პრინციპის რეალიზაცია.

მასწავლებლებს დიდ დახმარებას უწევს მეთოდური მუშაობის სწორი ორგანიზაცია. ამ მხრივ მუშაობის კარგ მაგალითს იძლევიან თბილისის ორჯონიკიძის, ლენინის, გლდანის, 26 კომისრის სახელობის რაიონების (ამხ. ამხ.: კ. ქებაძე, ნ. შარაშენიძე, ი. გოცირიძე, ნ. ჭეიშვილი), ქუთაისის (ამხ. ამხ.: ლ. ხურციძე, ა. ჭულუხაძე, ნ. ჭავზიანიძე), მახარაძისა(ამხ. კ. შავიშვილი) და ჩოხატაურის (ამხ. ნ. პაიჭაძე) რაიონების მეთოდისტები და მეთოდგაერთიანებათა ხელმძღვანელები. მათ სამუშაო გეგმებში შეტანილია გეოგრაფიის სწავლების აქტუალური საკითხები, ღია გაკვეთილების ჩატარება, მოწინავე გამოცდილების განზოგადება და სხვ. განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი საგანთაშორის კავშირებს, პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებას, მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას. მეთოდგაერთიანებებზე წაკითხული მოხსენებები რეკომენდებულია რესპუბლიკურ პედაგოგიურ კითხვებში მონაწილეობისათვის.

მიუხედავად არსებული წარმატებებისა გეოგრაფიის სწავლებაში კვლავ აღინიშნება ნაკლოვანებები. რესპუბლიკის სკოლების 106 (2,9%) მასწავლებელს არ აქვს სპეციალური განათლება. მე-4 კლასებში, უმეტეს შემთხვევაში, ბუნებისმცოდნეობას არასპეციალისტები ასწავლიან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეოგრაფიის მასწავლებელები კი სუსტად იცნობენ ამ კურსის პროგრამას, რის შედეგადაც ირღვევა მემკვიდრეობითობის პრინციპი სწავლებაში და ვერ ვღებულობთ სასურველ შედეგს.

სათანადო ყურადღება არ ეთმობა სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნას. მთელ რიგ სკოლებს არ გააჩნიათ სასწავლო კაბინეტები და მოედნები გეოგრაფიაში. ბევრი კაბინეტი არ არის აღჭურვილი საჭირო თვალსაჩინოებით, რუკებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით. ყურადღება არ ეთმობა კაბინეტების თვითნაკეთი ხელსაწყოებით, სქემებითა და დიაგრამებით შევსებას. კაბინეტებს არ გააჩნიათ ბარათები და ჩამოსარიგებელი მასალა დამოუკიდებელი და პრაქტიკული მუშაობისათვის. ხშირ შემთხვევაში კაბინეტები მოუვლელია. შეიმჩნევა კაბინეტების გადატვირთვა. არის შემთხვევები, როდესაც ქართული სკოლების კაბინეტებში მასალა რუსულ ენაზეა გამოფენილი და ამასთან უწიგნურადაცაა შესრულებული.

არსებული სასწავლო მოედნები არ არის აღჭურვილი თანამედროვე ხელსაწყოებით. არის შემთხვევები, როდესაც მასწავლებელს მოწყობილი აქვს გეოგრაფიული მოედანი, მაგრამ ვერ შოულობს თერმომეტრს, ფლუგერსა და სხვა ხელსაწყოებს, რის გამოც იშვიათად თუ წარმოებს ამინდზე დაკვირვება.

სუსტია ამ საგანში შინასასკოლო კონტროლი. იშვიათად თუ ხდება გეოგრაფიის სწავლების მდგომარეობის შესწავლა და პედაგოგიური და განათლების საბჭოს სხდომებზე განხილვა. ჩანს განათლების ადგილობრივი ორგანოები და სკოლის ხელმძღვანელობა სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებენ ამ საგანს მოსწავლეთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეში.

ამასთან, მასწავლებელთა ერთი ნაწილი უპასუხისმგებლოდ ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას. სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილისათვის, კარგად არ იცნობს პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს, ვერ ფლობს სწავლების მეთოდებს, არარაციონალურად იყენებს გაკვეთილის დროს, დიდ დროს ანდომებს გამოკითხვას, არ უნერგავს მოსწავლეებს საჭირო უნარ-ჩვევებს, სუსტად არის ორგანიზებული დამოუკიდებელი მუშაობა, ეფექტურად არ არის გამოყენებული საგნის აღმზრდელობითი საშუალებანი, კლასი პასიურია. აღნიშნულის გამო დაბალია მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილის ხარისხი. მოსწავლეებს არა აქვთ გამომუშავებული პრაქტიკული უნარ-ჩვევები, არ შეუძლიათ მასშტაბის შერჩევა, ადგილის გეგმის წაკითხვა, შეცდომებს უშვებენ ადგილის გეგმის შედგენაში, არ შეუძლიათ სწორად ახსნან ბუნებრივი ზონების შეცვლის მიზეზები, მდინარეთა საზრდოობის დამოკიდებულება ჰავაზე, უკანასკნელის გავლენა ნიადაგის წარმოქმნაზე; სუსტად იციან ბუნებრივი კომპლექსები და მათი თავისებურებანი, კარტოგრაფიული გამოსახულება. უჭირთ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ურთიერთკავშირე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის კანონზომიერებების, ბუნების თავისებურებების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ახსნა.

ეკონომიკური გეოგრაფიის კურსში სუსტად არის ათვისებული ისეთი ცნებები, როგორიცაა: წარმოების კონცენტრაცია და კომბინირება, საწარმოო ციკლი, სამრეწველო კვანძი, ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსი, მეურნეობის ინტენსიფიკაცია და სხვ. ზოგ მოსწავლეს უჭირს საწარმოო კავშირების სქემის შედგენა და მათი ახსნა. ყველას არ ესმის ეკონომიკური ინტეგრაცია და მისი თავისებურებანი, არ შეუძლია საერთო დასკვნების გაკეთება.

აღნიშნული ნაკლოვანებანი აიხსნება იმით, რომ მასწავლებელთა ნაწილი ვერ უზრუნველყოფს გაკვეთილზე ძირითადი მომენტის გამოყოფას. სწავლების მეთოდები ყოველთვის არ შეესაბამება სასწავლო მასალის მიზანს, შინაარსსა და სპეციფიკას, მოსწავლეთა მომზადების დონეს, მასწავლებლები სწავლებაში სუსტად იყენებენ მხარეთმცოდნეობის მასალას, არ არის დაცული მემკვიდრეობითობა კურსებს შორის, გაკვეთილები ერთფეროვანი და აღწერილობითი ხასიათისაა, რაც აქვეითებს შემეცნებით ინტერესს და აღმზრდელობით შესაძლებლობებს.

მასწავლებელთა ნაწილი მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებით კმაყოფილდება, რის შედეგადაც მოსწავლეებმა სუსტად იციან რუკა და ნომენკლატურა, ან პირიქით შეუძლიათ ობიექტის რუკაზე ჩვენება, მათი კონტურულ რუკებზე დატანა, მაგრამ ვერ ფლობენ რუკის წაკითხვის ხერხებს. უჭირთ ობიექტის დახასიათების შედგენა რუკებისა და ტიპური გეგმის მიხედვით.

ნაკლოვანებათა შორის აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად გაკვეთილზე გამოყენებული ყრილობისა და სხვა სადირექტივო დოკუმენტების მასალები, ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები არ შეესაბამება თემის შინაარსს. ზოგ მასწავლებელს სწორად არ ესმის საგანთაშორისო კავშირი და მთელ გაკვეთილს სხვა საგნის ახსნას უთმობს.

სათანადო ყურადღება არ ეთმობა საშინაო დავალების რვეულების წარმოებასა და კონტურულ რუკებზე მუშაობას. რიგ სკოლაში ნაცვლად პრაქტიკული მუშაობისა მოსწავლეს ეძლევა დავალება — ყოველი თემის ბოლოს მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემა. კონსპექტების შედგენა, სახელმძღვანელოში მოცემული ილუსტრაციების, გრაფიკებისა და სხვ. რვეულში გადატანა, ცნებების ამოწურვა, რაც, უეჭველად, მოსწავლის გადატვირთვას იწვევს.

ნაკლოვანებებით ხასიათდება კლასგარეშე მუშაობაც გეოგრაფიაში, ბევრგან საწრეო მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. წრის სამუშაო გეგმები ძირითადად ითვალისწინებენ სხვადასხვა ხასიათის მოხსენებებს. ნაკლები ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა შემოქმედებით საქმიანობას. ამასთან, ხშირად არ არის გათვალისწინებული მოსწავლის ასაკი და ინტერესები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერიოზული ნაკლოვანებები აღინიშნება მეთოდურ მუშაობაში. მეთოდისტთა სამუშაო გეგმებში არ არის გათვალისწინებული მეთოდური ხასიათის მოხსენებები, საკითხები უმეტესწილად ზოგადია. პრაქტიკაში არ არის დანერგილი გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, მოწინავე გამოცდილების განზოგადება და სხვ.

სკოლების სამმართველო

РЕШЕНИЕ

КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

О состоянии преподавания русского языка и работе с допризывной молодежью и призывниками по обучению их русскому языку в общеобразовательных школах республики в свете требований реформы

27 декабря 1984 года

Обсудив итоги проверки состояния изучения и преподавания русского языка и работы с допризывной молодежью и призывниками по обучению их русскому языку в общеобразовательных школах республики, коллегия Министерства просвещения отметила, что проделана определенная работа по улучшению изучения русского языка в грузинских школах республики.

Среди основных задач реформы общеобразовательной и профессиональной школы особо выделена задача — вооружить учащихся умениями и навыками свободного владения русским языком.

Для успешного решения этой задачи необходимо поднять преподавание русского языка на качественно новый уровень, усилить практическую направленность обучения этому предмету, поднять эффективность каждого урока.

Министерство просвещения Грузинской ССР проверило работу органов народного образования Сигнахского, Гальского, Чохатаурского, Местийского, Маяковского, Махарадзевского, Телавского районов и г. Поти. Материалы проверки показали, что органы народного образования, педагогические коллективы школ выполнение апрельского (1984 г.) Пленума ЦК КПСС связывают с совершенствованием учебно-воспитательного процесса в школах. Посешенные уроки и дополнительные кружковые занятия с допризывной молодежью показали, в основном, удовлетворительный уровень знаний, умений и навыков учащихся, должную методическую подготовку большинства учителей.

Большое внимание уделяется в республике совершенствованию преподавания русского языка во исполнение постанов-

лений ЦК КПСС и Совета Министров СССР и ЦК КП Грузии и Совета Министров Грузинской ССР 1983 года, а также решений коллегий последних лет по вопросу работы с допризывной молодежью и призывниками.

В настоящее время развернута работа по улучшению качества учебников по русскому языку, выпускаемых местным издательством, в соответствии с требованиями основных направлений школьной реформы.

Совершенствуется организационная и методическая работа. Укрепляется материальная база грузинских и других национальных школ, 1468 восьмилетних и средних школ (55%) имеют кабинеты русского языка, оснащенные современными техническими средствами обучения, в том числе лингафонным оборудованием. В таких кабинетах проводятся классные занятия и внеклассные мероприятия, изготавливаются наглядные пособия, оформляются стенгазеты, альбомы, фотовитрины, стенды и др. Разработаны и доведены до школ методические указания о видах, нормах письменных работ для грузинских и азербайджанских школ республики, методические материалы в помощь учителю, издан новый учебник для IV класса и разрабатываются поурочные материалы к нему; расширяется сеть школ и классов с углубленным изучением русского языка: в настоящее время в республике 29 школ, где в 56 классах русский язык изучают по углубленной программе 1398 учащихся.

Серьезное внимание уделяется урегулированию кадрового вопроса: к началу текущего учебного года в школы республики было направлено 228 учителей русского языка и литературы. Ведется планомерная и систематическая работа по повышению квалификации учителей.

Особое внимание уделяется дополнительной кружковой работе с юношами допризывного и призывного возраста: во всех восмилетних и средних школах ведутся дополнительные кружковые занятия со всеми юношами допризывного и призывного возраста, что дало положительные результаты. Так, если по итогам призыва 1980 года из общего числа призванных в армию юношей слабо владели русским языком 6,11%, то по итогам майского (1984 года) призыва этот показатель значительно снизился и составлял 1,9%.

Однако, исходя из требований школьной реформы, следует отметить, что задачи, стоящие перед учителями русского язы-

ка в национальной школе очень серьезны и значительны: речь идет о свободном владении русским языком, а потому следует отметить, все еще имеющиеся серьезные недостатки: значительная часть выпускников средней школы не имеет достаточных умений и навыков разговорной речи, затрудняется принять участие в беседе, в работах учащихся встречается слишком много ошибок, не развито умение излагать свои мысли в письменной форме, не уделяется должного внимания грамотности школьников, учителя не работают с тетрадями учащихся, многие работы проверяются крайне небрежно.

Руководители школ не относятся со всей серьезностью к вопросу о делении классов на подгруппы на уроках русского языка, что явно тормозит прочное усвоение программного материала, снижает эффективность контроля знаний, умений и навыков учащихся по русскому языку, все еще слаб внутришкольный контроль за преподаванием предмета, малоэффективна в ряде районов, внеклассная и внешкольная работа. Не на должном уровне осуществляется трудовое воспитание и правильная профессиональная ориентация, на уроках русского языка почти отсутствует взаимодействие школ, профтехучилищ и предприятий с целью привития навыков разговорной русской речи.

Из-за того, что университеты и педагогические институты республики из года в год не выполняют плана распределения на работу молодых специалистов, а также низок показатель явки их по месту распределения, создаются трудности в деле обеспечения школ высокогорных и отдаленных районов квалифицированными педагогическими кадрами. К началу текущего учебного года в школах республики не хватало 170 учителей русского языка и литературы. Министерство просвещения вынуждено было давать разрешения районным отделам народного образования на назначение преподавателями студентов-заочников I—II курсов, неспециалистов, пенсионеров и в некоторых исключительных случаях даже лиц со средним образованием, что в свою очередь, влияет на качество изучения данного предмета.

В целях дальнейшего улучшения состояния преподавания и изучения русского языка и языковой подготовленности молодежи допризивного возраста, коллегия р е ш а е т:

I. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР,

заведующим отделами народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, начальнику Управления народного образования Тбилгорисполкома:

I. I. Принять меры по устранению отмеченных недостатков. Потребовать от органов народного образования, руководителей школ, внешкольных учреждений повышения качества и эффективности обучения и воспитания учащихся, всемерного развития инициативы творческого подхода к делу, повышения дисциплины и ответственности за порученный участок работы в соответствии с постановлениями ЦК КПСС и Совмина СССР и ЦК КП Грузии и Совета Министров Грузинской ССР 1983 года о дополнительных мерах по улучшению преподавания русского языка и в свете требований школьной реформы;

I. 2. Потребовать от заведующих отделами народного образования Гальского Махарадзевского, Маяковского, Местийского, Сигнахского, Телавского, Чохатаурского и других районов и городов республики:

— повысить ответственность руководителей общеобразовательных школ за качество знаний, умений и навыков учащихся, уровень их воспитанности;

— устранить выявленные в ходе проверки недостатки в организации внутришкольного контроля и руководства, обратив особое внимание на оказание действенной методической помощи учителям в совершенствовании урока как основной формы организации учебно-воспитательного процесса;

— систематически вносить на обсуждение советов райгороно, педсоветов школ результаты инспекторских проверок, осуществлять контроль за обязательным исполнением в установленные сроки конкретных решений, плана мероприятий по улучшению изучения и преподавания русского языка в общеобразовательных школах и дошкольных учреждениях района (города):

— о проделанной работе информировать Министерство просвещения до I-го мая 1985 года;

Принять к сведению, что в настоящее время Планово-финансовое управление и Управление кадров работают по определению потребности общеобразовательных школ и других учреждений просвещения в педагогических кадрах по специальностям на 1986—1995 годы с учетом перехода на обучение детей с 6-летнего возраста, снижения предельной напол-

няемости классов, изменений учебного плана и других мероприятий, предусмотренных школьной реформой, и готовят предложения по увеличению приемов в университеты, педагогические институты и училища.

2. Управлению школ (тов. Татишвили Т. Г.):

— систематически изучать состояние преподавания и изучения русского языка в общеобразовательных школах республики с целью реализации требований школьной реформы;

— разработать конкретные рекомендации в помощь учителю по активизации работы с призывниками и допризывной молодежью.

3. Научно-исследовательскому институту педагогических наук им. Я. Гогебашвили (тов. Амонашвили Ш. А.) переработать программы по русскому языку и литературе для II-летней школы, привести их в соответствие с требованиями школьной реформы.

4. Центральному и зональным институтам усовершенствования учителей (тов. Гватуа Г. В.):

— совершенствовать формы и методы изучения состояния преподавания русского языка и литературы, обеспечивая на этой основе дифференцированную помощь учителю. В работе по изучению, обобщению педагогического опыта сосредоточить внимание на его распространении с тем, чтобы использовать его во всех педагогических коллективах:

— улучшить работу районных и городских методических кабинетов межшкольных методических объединений, направить их деятельность на оказание учителям практической помощи в совершенствовании уроков, методов и приемов по обучению и воспитанию детей.

5. Управлению учебников (тов. Глонти Н. А.):

— принять действенные меры по изданию программ, учебников, рекомендаций и других материалов по вопросам изучения и преподавания русского языка в национальных школах республики.

6. Контроль за выполнением данного решения воложить на Управление школ (тов. Татишвили Т. Г.).

Председатель коллегии,
Министр О. Кинкладзе

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა შემდგომი სწავლების, შრომითი მოწყობის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

განიხილა რა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ცნობა „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა შემდგომი სწავლებისა და შრომითი მოწყობის მდგომარეობის შესახებ“,

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

1. 1. სამინისტროების კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე განიხილონ კურსდამთავრებულთა შემდგომი სწავლებისა და შრომითი მოწყობის მდგომარეობა, გამოავლინონ ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზები და გაატარონ ქმედითი ღონისძიებები მისი შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად;

1. 2. ადგილობრივი სახალხო დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან, შრომითი მოწყობის რაიონულ ბიუროებთან, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საბაზო საწარმოებთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშაონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა შემდგომი სწავლებისა და შრომითი მოწყობის ღონისძიებათა კომპლექსური გეგმები და უზრუნველყონ მათი თანმიმდევრული განხორციელება;

1. 3. კურსდამთავრებულთა დროული დასაქმების მიზნით დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად განსაზღვრონ უახლოეს მომავალში საბაზო საწარმოებში (ორგანიზაციებში) საჭირო კვალიფიციური მუშათა კადრების რაოდენობა სპეციალობების ჩვენებით და 1985 წლის აპრილის ბოლომდე სათანადო ინფორმაციით უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები;

1. 4. სახალხო დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან ერთად სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციურ მუშა კადრებზე მოთხოვნილების გათვალისწინებით გადასინჯონ სკოლებში არსებული შრომითი სწავლების პროფილები და შეუსაბამონ ისინი რაიონის (ქალაქის) კვალიფიციურ მუშა კადრებზე მოთხოვნებს;

1. 5. განსაკუთრებული კონტროლი დააწესონ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა შემდგომი სწავლები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და შრომითი საქმიანობის სტატისტიკური ანგარიშების წარმოებაზე. კურსდამთავრებულთა დასაქმების დამადასტურებელი ცნობების საფუძველზე უზრუნველყონ სკოლაში მიღებული შრომითი სწავლების პროფილის მიხედვით კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის დაზუსტება;

1. 6. სახალხო დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებთან ერთად უზრუნველყონ კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის გეგმების დროული განაწილება სკოლებზე.

2. აღინიშნოს ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, ქ. თბილისის კალინინის, 26 კომისრის და საქარხნო რაიონების, ქ. ქ. გორის, რუსთავის, ჭიათურისა და წყალტუბოს ზონების, ახმეტის, ბოგდანოვკის, ვანის, გარდაბნის, გურჯაანის, დმანისის, ზუგდიდის, ყვარლის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მახარაძის, მაიაკოვსკის, საჩხერის, თიანეთის, წალკის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა სუსტი მუშაობა კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის გეგმების შესრულების საქმეში.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი) კონტროლი დააწესოს ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა შემდგომი სწავლების, შრომითი მოწყობის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

უკანასკნელ პერიოდში სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, საბაზო საწარმოების (ორგანიზაციების) დახმარებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარეს მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციის, საზოგადოებრივ-სასარგებლო და მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების უზუნველსაყოფად. გაუმჯობესდა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში კურსდამთავრებულთა შემდგომი სწავლებისა და შრომითი მოწყობის მდგომარეობა სკოლებში არსებული შრომითი სწავლების პროფილების მიხედვით.

1984 წელს რესპუბლიკაში დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა დაამთავრა 55570 მოსწავლემ, 1 ნოემბრის მდგომარეობით მათგან სწავლას აგრძელებს 26476 (კურსდამთავრებულთა 47,6%), მათ შორის უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 6349 (კურსდამთავრებულთა 11,4%), ტექნიკურ სასწავლებელში — 11673 (21%), საშუალო სპეციალურ სასწავლებელში 6722 (11,7%), სხვადასხვა კურსებზე 1932 (3,4%), სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში დასაქმებულია 26241 (47,2%), მათ შორის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დასაქმებულია 15182 (რაც დასაქმებულთა 57,8% შეადგენს), სამშენებლო ორგანიზაციებში 1482 (5,6%), სამრეწველო საწარმოებში 4065 (15,5%), საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, ტრანსპორტზე, ვაჭრობისა და სხვადასხვა სფეროში 5512 (21%).

6,6%-ით გაიზარდა კურსდამთავრებულთა სამუშაოზე მოწყობა სკოლაში მიღებული შრომითი სწავლების პროფილის მიხედვით. 1983 წელს 7855 კურსდამთავრებული მოეწყო სამუშაოზე სკოლაში მიღებული შრომითი სწავლების პროფილის მიხედვით (რაც სამუშაოზე მოწყობილ კურსდამთავრებულთა რაოდენობის 27,3% და მთლიანად დამთავრებულთა 13,3%-ია), ხოლო 1984 წელს პროფილით სამუშაოზე მოეწყო 8903 კურსდამთავრებული, რაც წინა წელთან შედარებით შესაბამისად 33,9% და 16% შეადგენს. მათ შორის კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დასაქმებული 15182 კურსდამთავრებულიდან პროფილით მუშაობს 6290 (41,4%). 1983 წელს კი ეს მონაცემი 5471-ს (36%) შეადგენდა. 26476 კურსდამთავრებულიდან, რომლებიც სხვადასხვა სახის სასწავლებლებში სწავლობენ, სკოლაში მიღებული შრომითი სწავლების პროფილის მიხედვით სწავლობს 6428, სულ პროფილით დასაქმებულია 14331, რაც დამთავრებულთა 24% შეადგენს, 1983 წელს კი ეს მონაცემი იყო 13455 (22,7%).

აღნიშნული განაპირობა იმ გარემოებამ, რომ რესპუბლიკის რიგი რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა თანმიმდევრულად ღონისძიებები გაატარეს კურსდამთავრებულთა დროული დასაქმების უზრუნველსაყოფად, შრომითი მოწყობის გეგმა დროულად იქნა განხილული და დაყვანილი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებამდე. შრომითი მოწყობის ადგილობრივმა ბიუროებმა სასწავლო წლის პირველ ნახევარში უზრუნველყვეს სკოლები ინფორმაციებით ადგილობრივ საწარმოებში არსებული ვაკანტური ადგილების შესახებ და სხვ.

ამასთან, კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის საქმეში შეინიშნება არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები. რესპუბლიკის რიგ რაიონებში ჯერ კიდევ არაა შექმნილი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა შემდგომი სწავლებისა და შრომითი მოწყობის ერთიანი სისტემა.

სახალხო განათლების განყოფილებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელებთან ერთად ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ კურსდამთავრებულთა შემდგომი ბედისადმი, არ ატარებენ ქმედით ღონისძიებებს ყველა კურსდამთავრებულის სწავლებაში და შრომაში ჩასაბმელად.

1984 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით შრომით საქმიანობაში ჯერ კიდევ ჩაუბმელი იყო 1700 ათკლასდამთავრებული, მათ შორის აფხაზეთის ასსრ — 131, აჭარის ასსრ — 144, ქ. თბილისში — 125, ქ. რუსთავში — 44, ქ. ჭიათურაში — 54, ქ. გორში—43, ქ. წყალტუბოში — 88, აბაშაში — 49, ახალქალაქში — 32, გორში — 30, ქარელში — 35, მახარაძეში — 90, მცხეთაში — 93, სამტრედიაში — 61, ხაშურში — 44, წალკაში — 25, წითელწყაროში — 34.

კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის გეგმები ვერ შეასრულეს ქ. ქ. თბილისმა, ფოთმა, რუსთავმა, წყალტუბოს ზონამ, ვანის, გარდაბნის, გორის, დმანისის, ყვარლის, მახარაძის, სიღნაღის, ხაშურის, წალენჯიხის, წულუკიძის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონებმა.

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა შემდგომი სწავლებისა და სკოლაში მიღებული შრომითი პროფილის მიხედვით დასაქმებაში არსებული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ ზოგან სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე არ ხდება კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის მდგომარეობის ანალიზი, კმაყოფილდებიან მხოლოდ დასაქმებულთა რაოდენობის აღრიცხვით, არ იხილავენ ამ საკითხს პედაგოგიურ კოლექტივებში.

შრომითი აღზრდა ჯერ კიდევ არ არის მიმართული სახალხო მეურნეობის კვალიფიციურ მუშა კადრებზე ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, კურსდამთავრებულთა შრომითი მომზადების გასაუმჯობესებლად. აღნიშნული ნაკლოვანებების გამო ჭიათურაში შრომით საქმიანობაში ჩაბმული 512 კურსდამთავრებულიდან პროფილით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობს მხოლოდ 53 (10,3%), აჭარის ასსრ 601-დან 106 (6%), აბაშაში 87-დან 8 (9,2%), ამბროლაურში 112-დან 15 (8,7%), ყვარელში 97-დან 9 (9,2%), ახალქალაქში 703-დან 32 (4,6%), ბოლნისში — 638-დან 59 (9,3%), დმანისში 366-დან 8 (2,2%), **მაიაკოვსკში** 129-დან 13 (10%), ონში 82-დან 1 (0,12%), სამტრედიაში 160-დან 6 (3,7%), წალკაში 223-დან 20 (8,9%), წულუკიძეში 98-დან 7 (7,1%), ხოლო ზუგდიდის, ყაზბეგის, მახარაძის, მესტიის რაიონებსა და ქ. მარნეულში არც ერთი კურსდამთავრებული არ მუშაობს სკოლაში მიღებული შრომითი სწავლების პროფილის მიხედვით.

ყველა ზემოჩამოთვლილ ნაკლოვანებებთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ სკოლებს არ გააჩნიათ კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის გეგმები ადგილობრივი საწარმოების კვალიფიციურ მუშა კადრებზე მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. ამ მიმართულებით რაიონების განათლების განყოფილებებს არასათანადო დახმარებას უწევენ ადგილობრივი სახალხო დეპუტატების საბჭოების აღმასკომები და შრომითი მოწყობის ბიუროები.

ამასთან, სკოლებში ჯერ კიდევ არაა დაგეგმილი ერთობლივი საქმიანობის ღონისძიებები საბაზო საწარმოებთან (ორგანიზაციებთან) მიკრორაიონში მდებარე პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან, ნაკლებად ეწყობა შეხვედრები წარმოების მოწინავე მუშაკებთან და სხვა.

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების დიდ ნაწილში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი პროფესიული ორიენტაციის კაბინეტები, ხოლო რიგ სკოლებში არსებული პროფესიული ორიენტაციის კუთხეები იმდენად მოძველებულია და სააგიტაციო და თვალსაჩინო მასალებით იმდენად ღარიბია, რომ დანიშნულებას ვერ ასრულებს.

შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის ინსპექტორები სუსტად ხელმძღვანელობენ მოსწავლეთა შრომითი მოწყობის საქმეს, მათ არასათანადო კონტაქტი აქვთ დამყარებული ამ მიმართებით სკოლებთან, შრომითი მოწყობის ადგილობრივ ბიუროებთან, საბაზო ორგანიზაციებთან, არ აყენებენ საქმიან წინადადებებს ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა შემდგომი სწავლებისა და შრომითი მოწყობის გაუმჯობესების შესახებ.

სახალხო განათლების განყოფილებები ადგილობრივი სახალხო დეპუტატების საბჭოებისაგან დროულად არ ღებულობენ საწარმოო დაწესებულებების მიხედვით განაწილებულ კურსდამთავრებულთა სამუშაოზე მოწყობის გეგმებს, რაც გარკვეულ უხერხულობას ქმნის კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის საქმეში. საერთოდ კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის გეგმები არ მიუღიათ წყალტუბოს ზონის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ყაზბეგის, ლაგოდეხის, მახარაძის, მაიაკოვსკის, მესტიის, ონის, გურჯაანის, სიღნაღის, თიანეთისა და წალენჯიხის რაიონე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის სახალხო განათლების განყოფილებებს.

რიგი რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატების აღმასკომების მოსწავლე ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისა და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის ხელშემწყობი კომისიები სათანადო დახმარებას ვერ უწევენ სკოლებს კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის საქმეში.

საკმარისი ღონისძიებები არ ტარდება მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების შექმნისათვის.

სუსტია ამ მიმართულებით დირექტორის მოადგილეების (ორგანიზატორების), კლასის ხელმძღვანელების, კომკავშირისა და მშობელთა კომიტეტების მუშაობა. მათი სამუშაო გეგმები არ ითვალისწინებენ კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის საკითხებს.

ახფაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, ქ. რუსთავის, წყალტუბოს ზონის, ბოლნისის, გარდაბნის, გორის, ლაგოდეხის, მარნეულის, გურჯაანის, საჩხერის, სიღნაღისა და ჩოხატაურის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა 1984 წელს დროულად ვერ დააზუსტეს დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა რაოდენობა.

ამასთან, რესუბლიკის მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ და სათანადო კონტროლი არ აქვთ დაწესებული კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის აღრიცხვის საქმეში. დადგენილ ვადებში არ წარმოადგინეს კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემები ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, ქ. ქ. გორისა და ჭიათურის, ახმეტის, ბოგდანოვკის, კასპის, ლენტეხის, ლაგოდეხის, გურჯაანის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ხოლო ქ. ქ. თბილისის, რუსთავის, წყალტუბოს ზონის, ვანის, ზუგდიდის, ყვარლის, მახარაძის, მაიაკოვსკისა და თიანეთის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა მიერ წარმოდგენილ ცნობებში კურსდამთავრებულთა რაოდენობა მათი დასაქმების მონაცემებს არ შეესაბამება.

უპასუხისმგებლობისა და ამ საქმისადმი ზერელე მიდგომის შედეგია ის, რომ ქ. ქ. თბილისის, რუსთავის, წყალტუბოს ზონის, ახალქალაქის. ბოგდანოვკის, გარდაბნის, დმანისის, ზესტაფონის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მარნეულის, ხაშურის, წალენჯიხისა და წალკის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში და საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტში სხვადასხვა მონაცემები წარადგინეს შრომით საქმიანობაში კურსდამთავრებულთა ჩაბმის შესახებ.

სკოლების სამმართველო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 27 დეკემბრის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1984—1985 სასწავლო წლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოებით, მეთოდური და სხვა სახის ლიტერატურით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ

მოისმინა და განიხილა რა სახელმძღვანელოების სამმართველოს ინფორმაცია „1984—1985 სასწავლო წლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოებით, მეთოდური და სხვა სახის ლიტერატურით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ", კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

2. აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოების სამმართველოსა და სასკოლო მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების განყოფილების მიერ ჩატარებულია გარკვეული მუშაობა მიმდინარე სასწავლო წლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოებით, მეთოდური და სხვა სახის ლიტერატურით უზრუნველყოფისა და დანიშნულებისამებრ მათი გამოყენების მდგომარეობის შესწავლის მიზნით.

ამასთან ერთად, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რეგიონალურმა შემოწმებამ ცხადყო, რომ ჯერ კიდევ აღინიშნება სერიოზული ნაკლოვანებები იმისდა მიუხედავად, რომ სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელობამ და პედაგოგიურმა კოლექტივებმა ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უფასოდ სარგებლობაზე გადასვლის შესახებ" დადგენილებებისა და მათგან გამომდინარე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1978 წლის 8 აგვისტოს № 522 ბრძანების რეალიზაციის, ამ დოკუმენტების პოლიტიკური, სოციალური და აღმზრდელობითი მნიშვნელობის თითოეულ მოსწავლემდე დაყვანის საქმეში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთ ნაწილს ჯერ კიდევ აკლია სახელმძღვანელოები ცალკეული კლასებისა და საგნების მიხედვით. სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები და სკოლების დირექტორები სათანადოდ არ ზრუნავენ საბიბლიოთეკო მუშაობის აქტივიზაციაზე, სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შევსება-დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებაზე, ამ საქმეში პედაგოგიური კოლექტივების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფაზე, ბიბლიოთეკებისათვის საჭირო სათავსების გამოყოფასა და სპეციალური დანიშნულების ავეჯით აღჭურვაზე, მოსწავლეებში სახელმძღვანელოებისადმი ფაქიზი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზრუნველი დამოკიდებულების აღზრდაზე, დაზიანებული წიგნების შეკეთებაზე, საამკინძაო წრეების ჩამოყალიბებისა და მათი ნაყოფიერი საქმიანობის ორგანიზაციაზე. საბავშვო და სხვა სახის ლიტერატურის სერიულ გამოცემათა სრულყოფილად მიღების, დაცვისა და მიზანმიმართული გამოყენების უზრუნველყოფაზე.

3. დაევალოს სახელმძღვანელოების სამმართველოს (ამხ. ნ. ღლონტი) განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებები აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ჩატარებული მუშაობის შესახებ მოახსენოს კოლეგიას 1985 წლის 1-ლ სექტემბრამდე.

4. ინფორმაცია „1984—1985 სასწავლო წლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოებით, მეთოდური და სხვა სახის ლიტერატურით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ" დაეგზავნოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ცნობისათვის და მუშაობაში გასათვალისწინებლად (თან ერთვის).

5. აღნიშნული გადაწყვეტილება და ცნობა გამოქვეყნდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

6. კონტროლი მის შესრულებაზე დაეკისროს სახელმძღვანელოების სამმართველოს (ამხ. ნ. ღლონტი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობა

რესპუბლიკის სკოლების 1984—1985 სასწავლო წლისათვის სახელმძღვანელოებით, მეთოდური და სხვა სახის ლიტერატურით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების სამმართველომ რესპუბლიკის სასწავლო-მეთოდური კაბინეტის სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების განყოფილებასთან ერთად შეისწავლა 1984—1985 სასწავლო წლისათვის სახელმძღვანელოებით, სასწავლო პროგრამებით, მეთოდური ლიტერატურით რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უზრუნველყოფისა და სასკოლო ბიბლიოთეკების მიერ ხელმოწერილი მხატვრული ლიტერატურის მიღებისა და დანიშნულებისამებრ გამოყენების მდგომარეობა.

შემოწმებულ იქნა რესპუბლიკის 10 რაიონის 63 სკოლა. შემოწმებამ ცხადყო, რომ განათლების ადგილობრივი ორგანოები და სკოლების დიდი უმრავლესობა ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უფასოდ სარგებლობაზე გადასვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 24 ნოემბრის № 1029, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 21 თებერვლის № 126 დადგენილებებისა და მათგან გამომდინარე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1978 წლის 8 აგვისტოს № 522 ბრძანების რეალიზაციის, ამ დოკუმენტების პოლიტიკური, სოციალური და აღმზრდელობითი მნიშვნელობის თითოეულ მოსწავლემდე დაყვანის საქმეში.

განათლების განყოფილებები განათლების საბჭოს, ხოლო სკოლები პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე სისტემატურად იხილავენ სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შევსება-განახლების, მოვლა-პატრონობისა და რაციონალურად გამოყენების საკითხებს. ატარებენ თათბირ-სემინარებს ბიბლიოთეკარებთან და კლასების ხელმძღვანელებთან, ხოლო მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებს დევიზით: „გიყვარდეს წიგნი“, „წიგნი ცოდნის დაუშრეტელი წყაროა“, „წიგნი ჩემი მეგობარია“, „გავუხანგრძლივოთ წიგნს სიცოცხლე“, „ვინ უკეთ უვლის წიგნს“, „იცოცხლე, წიგნო“ და სხვა, რომელთა მიზანია გამოუმუშაონ მოსწავლეებს წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები, სახელმძღვანელოებისადმი ფაქიზი დამოკიდებულების გრძნობა, გაუღვივონ წიგნის კითხვისადმი ინტერესი და სხვ.

სკოლებში ტარდება მკითხველთა კონფერენციები, ეწყობა კლასებს შორის შეჯიბრებები სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობაზე, გამარჯვებულთა წახალისება ფასიანი საჩუქრებით, დირექტორის ბრძანებით უცხადებენ მადლობას, ხოლო მათ ფოტოებს აკრავენ საპატიო და-

ფებზე. თანდათან სულ უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო სკოლებში საამკინძაო წრეებისა და ე. წ. „წიგნის შემკეთებელთა ეკიპაჟების“ საქმიანობამ, მეტი ყურადღება მიექცა სასკოლო ბიბლიოთეკების მატერიალური ბაზის განმტკიცებასა და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას.

ამ მხრივ მუშაობის გააქტიურებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სკოლების გადაყვანამ ახალ სასკოლო რეფორმაზე, რომელმაც განათლების ორგანოებისა და სკოლების წინაშე სერიოზული ამოცანები დააყენა.

სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა გათვალისწინებით შედგენილია სკოლების წლიური, კლასების ხელმძღვანელებისა და ბიბლიოთეკარების სამუშაო გეგმები, რომლებშიც გათვალისწინებულია სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების დანიშნულებისამებრ გამოყენების, აგრეთვე აღმზრდელობითი ხასიათის საკითხები და სხვ.

შემოწმებული სკოლებიდან მუშაობის კარგ მაგალითებს იძლევიან ქ. გორის მე-4, მე-8, მე-10, მე-14, ფოთის მე-5, მე-7, ცხაკაიას რაიონის 1-ლი, მე-2, ბოლნისის რაიონის მე-2, მე-4 და ამავე რაიონის სოფელ კაზრეთის მე-2, ონის რაიონის 1-ლი, მე-2 და ამავე რაიონის სოფელ ღარის, აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნის, მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოს, ხობის რაიონის სოფლების ხეთის, ჭალადიდის, ნოჯიხევისა და სხვა საშუალო სკოლები.

დასახელებულ სკოლებში ახალი სახელმძღვანელოები განაწილების მიხედვით მიღებულია სრულად, ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია ახალი ან ნახმარი, მაგრამ ვარგისი სახელმძღვანელოებით, მოგვარებულია მეთოდური ლიტერატურით მასწავლებელთა უზრუნველყოფის საკითხი, დროულად ხდება ახლად მიღებული მეთოდური თუ სხვა დამხმარე პედაგოგიური ლიტერატურის სკოლებზე განაწილება და სხვ.

ფოთის მე-5, მე-7, ცხაკაიას რაიონის 1-ლი, მე-2, აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნის, მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოს და სხვა სკოლებში სანიმუშოდ უვლიან სახელმძღვანელოებს, აქტიურად მოქმედებენ წიგნის მოყვარულთა საბჭოები, საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა სასკოლო ბიბლიოთეკებმაც, მოწესრიგებულია საბიბლიოთეკო დოკუმენტაციის — სახელმძღვანელოების სააღრიცხვო წიგნების, საკატალოგო ბარათებისა და ჟურნალების წარმოება. მეთოდური, დიდაქტიკური თუ სხვა პედაგოგიური ლიტერატურა ამ სკოლებში განცალკევებულია სხვა წიგნადი ფონდისაგან, განლაგებულია სტელაჟებზე საგნების მიხედვით, მოწყობილია მეთოდური კუთხეები, ხოლო სამასწავლებლოებში გამოკრულია სარეკომენდაციო სიები, რომელთა მეშვეობითაც მასწავლებლებს ეძლევათ საშუალება იხელმძღვანელონ ახლად მიღებული მეთოდური და პედაგოგიური ლიტერატურით. ეწყობა გამოფენები კარგად მოვლილი სახელმძღვანელოებისა „როგორ წავიკითხოთ წიგნი“, შემოღებულია „ბიბლიოთეკის დღიურები“, რომლებშიც აღრიცხულია ბიბლიოთეკისა

და სკოლის მიერ მკითხველთათვის ჩატარებული ყველა მასობრივი ღონისძიება, ხოლო შთაბეჭდილებების წიგნებში მოსწავლეები წერენ დამოუკიდებელ მოსაზრებებსა და შეხედულებებს მათ მიერ წაკითხული მხატვრული ლიტერატურის ავ-კარგზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის სკოლების ერთ ნაწილში სულ უფრო ინტენსიურად და შედეგიანად მუშაობენ საამკინძაო წრეები. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნის საშუალო სკოლა (დირექტორი დ. გერსამია, ბიბლიოთეკარი ლ. კოცია). ამხ. დ. გერსამია თვითონ დაინტერესდა, ჩამოვიდა თბილისში, გაეცნო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საქმიანობას, ხოლო საბიბლიოთეკო ტექნიკუმში მიიღო სათანადო ინსტრუქტაჟი საამკინძაო საქმის სწორი ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად, შეიძინა ყველა ხელსაწყო და მასალა, რომლებიც წიგნის აკინძვის საქმისათვისაა საჭირო. ადგილზე სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა საკუთარი ძალებით დაამზადა საამკინძაო დაზგა, პრესი, გამოყო ცალკე ოთახი — სახელოსნო საამკინძაო წრისათვის, შექმნა მოსწავლეთა აქტივი, რომელშიც გაერთიანებულია 15 მოსწავლე გოგონა და ვაჟი. კვირაში ორჯერადი მეცადინეობა ტარდება ბავშვებთან გაკვეთილების შემდეგ. მოსწავლეები მონდომებით შრომობენ მწყობრიდან გამოსული სახელმძღვანელოების შეკეთებაზე. იგივე ოთახში გამოფენილია ადრე ძალზე დაზიანებული და შემდეგ უკვე მოსწავლეთა ძალებით შეკეთებული სახელმძღვანელოების ნიმუშები, საამკინძაო საქმით სკოლის დირექტორის ასეთმა დაინტერესებამ თავისი შედეგი გამოიღო. სკოლაში საგრძნობლად იკლო დაზაინებული სახელმძღვანელოების რაოდენობამ, მოსწავლეებში აღიძრა სათანადო ინტერესი და, რაც მთავარია, აღმზრდელობითი ხასიათის ზეგავლენა მოახდინა მათზე. ანალოგიური მუშაობა მიმდინარეობს აგრეთვე ამავე რაიონის სოფელ 1 მაისის საშუალო სკოლაშიც. გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული ამ მხრივ მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოს, ქ. გორის მე-4, მე-8, მე-10, მე-12 და სხვა საშუალო სკოლებში.

ამასთან, რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფისა და საბიბლიოთეკო ფონდების მოვლა-გამოყენების საქმეში ჯერ კიდევ შეინიშნება სერიოზული ხარვეზები. სკოლების ერთ ნაწილს აკლია სახელმძღვანელოები ცალკეული კლასებისა და საგნების მიხედვით.

ფოთის მე-2 საშუალო სკოლის მე-8 კლასში, მაგალითად, 31 მოსწავლიდან 15 მოსწავლეს არა აქვს სახელმძღვანელოების სრული კომპლექტი და მათ შორის ფიზიკის სახელმძღვანელო და ეს მაშინ, როცა ბიბლიოთეკაში „რეზერვის" სახით „ინახება" ფიზიკაც და სხვა სახელმძღვანელოებიც. მართალია, სამინისტროს წარმომადგენლების ჩარევის შემდეგ ეს ნაკლი გამოსწორებულ იქნა, მაგრამ სავალალო ის არის, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის ადმინისტრაციამ ეს მარტივი საკითხი დამოუკიდებლად ვერ მოგვარა.

მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის საშუალო სკოლის მე-3 კლასებში 20 მოსწავლეა დატოვებული მათემატიკის სახელმძღვანელოების გარეშე, მე-5 კლასში კი 15 მოსწავლეს არა აქვს ბოტანიკის სახელმძღვანელო. ამავე რაიონის სოფელ ციხისძირის მე-7 კლასში 18 მოსწავლეს არა აქვს „ქართული ენა", მე-7 კლასში 22 მოსწავლეს — ფრანგული ენის სახელმძღვანელო. სოფელ ძეგვის საშუალო სკოლაში მე-4 ბ კლასის 26 მოსწავლიდან 8-ს სერთოდ არა აქვს მათემატიკის სახელმძღვანელო, ხოლო 9 მოსწავლეს იმდენად ძველი და დაზიანებული წიგნები აქვს, რომ მათი პრაქტიკულად გამოყენება თითქმის შეუძლებელია. ამავე სკოლის მე-7 ა კლასში 27 მოსწავლიდან „ქართული ენის გრამატიკა" არა აქვს 16-ს, ამდენივეს აკლია „ქართული ლიტერატურა". მე-5 ა კლასში მათმეატიკის სახელმძღვნელო, თუნდაც ძველი, არ ჰქონდა 30 მოსწავლეს, 1-ლ კლასშიც კი 10 მოსწავლე დატოვებულია „დედაენისა" და 7 მოსწავლე „მათემატიკის" გარეშე. ანალოგიური მდგომარეობაა ამ სკოლის სხვა კლასებშიც. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სოფელ ძეგვის საშუალო სკოლაში მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მდგომარეობის საკითხი გასულ წელსაც შეუმოწმებია მცხეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას, განუხილავს განათლების საბჭოს სხდომაზე, განუხორციელებიათ საჭირო ღონისძიებები, სკოლის დირექტორს ამხ. შ. მჭედლიშვილსა და ბიბლიოთეკარს ამხ. მ. გორგაძეს საყვედურიც კი გამოუცხადეს, მაგრამ ამან საქმეს მაინც ვერ უშველა.

სახელმძღვანელოების ნაკლებობა აღმოჩნდა გორის მე-5 და მე-7 საშუალო სკოლებშიც. მე-7 საშუალო სკოლის მე-6[3] კლასში, მაგალითად, 26 მოსწავლიდან 7-ს არა აქვს „ქართული ენა"; 5-ს აკლია „ალგებრა", 2-ს „ფიზიკა", მე-8 კლასში 10 მოსწავლეს აკლია „ალგებრა" და ა. შ. ანალოგიური მდგომარეობაა ცალკეული კლასებისა და საგნების მიხედვით შემოწმებულ ბევრ სხვა სკოლაშიც.

გამოვლენილი ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ სკოლის ხელმძღვანელები არ იჩენენ საჭირო ზრუნვასა და ყურადღებას ბიბლიოთეკებისა და, კერძოდ, სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შევსებასა და მოვლა-პატრონობაზე, მათ რაციონალურ გამოყენებაზე, ზოგიერთ შემთხვევაში ისინი ზედმეტადაც კი მიიჩნევენ აღნიშნული საკითხის შესწავლასა და პედგოგიური საბჭოს სხდომაზე განხილვას. ფოთის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორის ამხ. შ. კაკულიას განცხადებით, ინსტრუქცია და დადგენილება „სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლების, მათი სარგებლობის წესისა და ლიტერატურის დაცვის ღონისძიებათა შესახებ" მხოლოდ ბიბლიოთეკარს ეხება და სხვას არავის (?!) სწორედ ამით აიხსნება, რომ ამ სკოლაში საბიბლიოთეკო მუშაობის ავ-კარგის შესახებ არც ერთი საკითხი არ არის

განხილული პედსაბჭოს სხდომაზე, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანებით არ არის გამოყოფილი კომისია, რომელსაც დაევალებოდა სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობისა და დაცვის საქმისადმი კონტროლი. ბაძავენ რა თავიანთ დირექტორს, ამ სკოლის არც ერთი კლასის ხელმძღვანელი, აგრეთვე კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი და პიონერხელმძღვანელი არ იჩენენ დაინტერესებას, გული არ შესტკივათ სახელმძღვანელოებზე. კლასის ხელმძღვანელები არ აწარმოებენ აღრიცხვის რვეულს, რის გამოც ამ სკოლის მე-7, მე-8 და მე-9 კლასების მოსწავლეთა დიდი ნაწილი რიგ საგნებში სახელმძღვანელოების გარეშეა დატოვებული.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელთა ერთმა ნაწილმა ასევე ვერ უზრუნველყო ზემოაღნიშნული დადგენილებებისა და ინსტრუქციის განხილვა პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, რის გამოც ამ დოკუმენტების შინაარსი და მათგან გამომდინარე საკითხები არა თუ თითოეულ მოსწავლემდე, არამედ თითოეულ მასწავლებლამდეც კი (ხობის რაიონის 1-ლი, ფოთის მე-11, გორის მე-7 და სხვა საშუალო სკოლები) არ არის დაყვანილი. ისინი ნაკლებად ზრუნავენ სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისათვის, წიგნების მოვლა-პატრონობაზე, რის შედეგადაც სახელმძღვანლოები უწესრიგოდ აწყვია იატაკზე. არა აქვთ მათთვის გამოყოფილი საცავი, არა აქვთ სტელაჟები, თაროები, წიგნები დაზიანებული და შეუკეთებელია, რომელთა გამოყენება თითქმის შეუძლებელია. გორის 13 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან მხოლოდ 5 სკოლის ბიბლიოთეკას აქვს სტელაჟები, ხოლო მცხეთის რაიონის 48 სკოლიდან — მხოლოდ 2-ს. ამავე რაიონის სოფელ ძეგვის, გორის მე-8, მე-12 საშუალო სკოლებს ოთახებიც კი არა აქვთ გამოყოფილი სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდებისათვის.

სერიოზული ხარვეზებით ხასიათდება ფოთის მე-2, მე-11, ხობის რაიონის 1-ლი, გორის მე-7, მე-8, მე-12 და სხვა სკოლების ბიბლიოთეკარების მუშაობაც. მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების სამმართველო ყოველწლიურად ატარებს რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებების სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების მეთოდისტებთან თათბირ-სემინარებს, რომლებზედაც ისინი ინფორმაციას ღებულობენ ამ დარგში შემოღებულ სიახლეებსა თუ არსებულ ინსტრუქციებზე, ახსნა-განმარტება ეძლევათ სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების საარრიცხვო წიგნების, სარეგისტრაციო ბარათებისა და ჟურნალების წარმოებაზე საბიბლიოთეკო მუშაობაში გასათვალისწინებლად, ბიბლიოთეკარების ერთი ნაწილი კვლავაც განაგრძობს საბიბლიოთეკო დოკუმენტაციის არასწორად წარმოებას. სახელმძღვანელოები არ არის დამუშავებული ბიბლიოგრაფიული წესით, გვხვდება დაუთეგავი წიგნები, ოქტომბრის თვე-

ში ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ჩამოწერილი საბიბლიოთეკო ფონდიდან ამოსაღები სახელმძღვანელოები, არ ჰქონდათ გადარჩეული მოქმედი პროგრამით მოძველებული და, ამდენად, გამოსაყენებლად უვარგისი წიგნები, ბიბლიოთეკების მუშაობა თვითდინებაზეა მიშვებული, არ ტარდება აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებები, მკითხველთა კონფერენციები, გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრები, დისპუტები, არა აქვთ პრაქტიკაში დანერგილი გამოფენების მოწყობა, სტენდების გაფორმება და სხვ.

დასახელებულ სკოლებში წლების განმავლობაში არ ჩატარებულა ბიბლიოთეკების მთლიანი ინვენტარიზაცია. ფოთის მე-2 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა, მაგალითად, 14 წელია არ გაწმენდილა ამოსაღები, გამოუსადეგარი მეთოდური, დიდაქტიკური თუ სხვა სახის ლიტერატურისაგან.

ონის რაიონის სოფელ სორის, დუშეთის რაიონის სოფლების ფასანაურის, ჟინვალის საშუალო სკოლებისა და სოფელ პირმისაანთკარის საშუალო სკოლა-ინტერნატის მასწავლებლებსა და კლასების ხელმძღვანელებს სასწავლო წლის დამთავრებისას არ შეაქვთ სახელმძღვანელოების ბოლო გვერდზე არსებულ სვეტში შეფასება იმისა, თუ როგორ უვლიდა მოსწავლე მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მასზე გაპიროვნებულ სახელმძღვანელოს, რითაც უგულებელყოფენ შეფასების წამახალისებელ მნიშვნელობას მოსწავლეთა აღზრდის საქმეში, ხოლო სკოლების დირექტორები, თავის მხრივ, აღნიშნულ ფაქტებზე სათანადოდ არ რეაგირებენ.

ჯერ კიდევ სუსტად არის ორგანიზებული რესპუბლიკის სკოლებში (თბილისის გარდა) საამკინძაო წრეების მუშაობა. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ საამკინძაო წრეებისადმი ნაკლები მზრუნველობა სკოლების დირექტორების მხრიდან ხელს უშლის სახელმძღვანელოების სიცოცხლის, მათი ვარგისიანობის გახანგრძლივებას და ამით სახალხო დოვლათის, სახელმწიფო სახსრების გარკვეულწილად დაზოგვას, არამედ იმასაც, რომ სკოლების დირექტორების ერთი ნაწილი ჯეროვნად არ აფასებს საამკინძაო წრეების ფუნქციონირების მნიშვნელობას საერთო და, კერძოდ, მოსწავლეთა ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

შემოწმებულ იქნა, აგრეთვე, სასკოლო ბიბლიოთეკების მიერ ხელმოწერითი ლიტერატურის („მსოფლიო ლიტერატურა ბავშვებისათვის", „ქართული პროზა" და „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია") მიღებისა და დანიშნულებისამებრ გამოყენების საკითხი. დადგინდა, რომ ვერც ამ საქმეშია სახარბიელო მდგომარეობა. ასე, მაგალითად, „მსოფლიო ლიტერატურა ბავშვებისათვის" დღეისათვის გამოსულია 45 ტომი, მაგრამ შემოწმებული სკოლებიდან ბიბლიოთეკების უმეტესობას, ცალკეული გამონაკლისის გარდა, ადგილზე აღმოაჩნდათ ამ სერიის ნახევარი ან ნა-

ხევარზე ოდნავ მეტი დანარჩენი ტომების შესახებ მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ინფორმაცია არც ბიბლიოთეკარებს და არც სკოლის დირექტორებს დღემდე არა თუ არ გააჩნიათ, არამედ არც ზრუნავენ მათს მოძებნასა და ფონდის შევსებაზე, რაც ყოვლად გაუმართლებელია.

აღირიცხა ისეთი შემთხვევებიც, როცა დეფიციტური მხატვრული ლიტერატურის სერიულ გამოცემათა საიმედო დაცვისათვის სკოლის დირექტორებმა ცეცხლგამძლე კარადებში შენახვის ყოვლად გაუმართლებელ საშუალებას მიმართეს, რაც, აგრეთვე ყოვლად დაუშვებელია, რადგანაც აღნიშნული ტომები პრაქტიკულად გამოყენების გარეშეა დარჩენილი.

სახელმძღვანელოების სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს სსრ ავტოსატრანსპორტო სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1984 წლის 27 დეკემბრის

გადაწყვეტილება

მოსწავლე ავტომობილისტთა მე-6 რესპუბლიკური შეჯიბრების შედეგებისა და მე-7 რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარების შესახებ

აღვნიშნავთ, რომ მოსწავლე ავტომობილისტთა მე-6 რესპუბლიკური შეჯიბრება ორგანიზებულად და დებულების სრული შესაბამისობით ჩატარდა.

შეჯიბრების დასკვნით ტურში, რომელიც 1984 წლის 9-11 ივნისს ქ. თბილისში საქართველოს სსრ დოსააფის რესპუბლიკურ სპორტულ ბაზაზე ჩატარდა, მონაწილეობა მიიღო ქ. ქ. თბილისის 117-ე. სოხუმის მე-14, ბათუმის მე-20, ქუთაისის მე-2, რუსთავის მე-11, ცხინვალის მე-3, გორის 1-ლი და აბაშის რაიონის მე-2 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეთა გუნდებმა.

სპეციალურმა ჟიურიმ შეჯიბრების შედეგების მიხედვით პირველი ადგილი მიაკუთვნა ცხინვალის მე-3 საშუალო სკოლის გუნდს, მეორე ადგილი ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის გუნდს, ხოლო მესამე ადგილი — ბათუმის მე-20 საშუალო სკოლის გუნდს.

საპრიზო ადგილებზე გამოსულ გუნდებსა და ყველა მონაწილე მოსწავლე ავტომობილისტს საზეიმო ვითარებაში გადეცათ პრიზები, დიპლომები, სიგელები, სამკერდე ნიშნები და ფასიანი საჩუქრები.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლე ავტომობილისტთა მე-6 რესპუბლიკური შეჯიბრებისათვის კარგად მოემზადნენ და ორგანიზებულად ჩაატარეს, როგორც შინასასკოლო, ასევე რაიონული და ზონალური ტურები აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ქ. თბილისის, რუსთავის, გორისა და ზუგდიდის განათლების განყოფილებებმა, სკოლების დირექტორებმა, ავტოსაქმის მასწავლებლებმა და ავტომობილის ტარების საწარმოო სწავლების ოსტატებმა.

რესპუბლიკური შეჯიბრების დასკვნით ტურში საგზაო მოძრაობის წესების, ავტომობილის მოწყობილობისა და ექსპლოატაციის საფუძვლების კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს ქ. ქ. ცხინვალის, ქუთაისის, ბათუმის, აბაშისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების აღსაზრდელებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმასთან დაკავშირებით, რომ მოსწავლე ავტომობილისტთა მე-6 რესპუბლიკური შეჯიბრების დასკვნით ტურში გამარჯვებულმა ცხინვალის მე-3 საშუალო სკოლის გუნდმა უარი განაცხადა მოსწავლე ავტომობილისტთა მე-16 საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღებაზე. შეჯიბრების რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით შეჯიბრებაზე მონაწილეობის მისაღებად გაიგზავნა რესპუბლიკურ დასკვნით ტურში მეორე ადგილზე გამოსული ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე ავტომობილისტთა გუნდი.

ამასთან, მოსწავლე ავტომობილისტთა რესპუბლიკური შეჯიბრების მომზადებისა და მისი ჩატარების ორგანიზაციის საქმეში ჯერ კიდევ შეინიშნება სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებები.

რაიონული (საქალაქო) და ზონის ცენტრის მოსწავლე ავტომობილისტთა შეჯიბრების ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორების, ავტოსაქმის მასწავლებლებისა და ავტომობილის ტარების საწარმოო სწავლების ოსტატთა ერთი ნაწილი სათანადო ყურადღებას არ უთმობს შეჯიბრებისათვის მოსწავლეთა სისტემატური მზადებისა და ორგანიზაციის საქმეს; ამის შედეგია ის, რომ მოსწავლე ავტომობილისტთა შეჯიბრების რესპუბლიკურ დასკვნით ტურში მრავალჯერადის ცალკეულ სახეობებში მაქსიმალური საჯარიმო ქულები დაიმსახურეს აბაშის რაიონის მე-2, რუსთავის მე-11, სოხუმის მე-14, თბილისის 117-ე, ბათუმის მე-20 და სხვა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მოსწავლე ავტომობილისტებმა. როგორც მოსწავლე ავტომობილისტთა მე-6 რესპუბლიკური შეჯიბრების დასკვნითი ტურის ანალიზმა გვიჩვენა, აბაშის რაიონის მე-2, რუსთავის მე-11, სოხუმის მე-14 და სხვა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მოსწავლეებმა დაბალი თეორიული მომზადება, ავტომობილის ტარებისა და მისი ტექნიკური მომსახურების სუსტი პრაქტიკული უნარ-ჩვევები გამოამჟღავნეს. მიუხედავად იმისა, რომ საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად მზადების პერიოდში დებულების შესაბამისად ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე ავტომობილისტთა გუნდის წევრებისათვის ქ. თბილისში ათდღიანი საწვრთნელი შეკრება მოეწყო, საკავშირო შეჯიბრებაზე ქ. მიტიშში აღნიშნული გუნდი ძალიან სუსტად გამოვიდა და უკანასკნელი მე-9 ადგილი დაიკავა. საკავშირო შეჯიბრებაზე ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის (დირექტორი ა. ზანდუხაძე, მწვრთნელი გ. ჩირგაძე) გუნდის წარუმატებლობა გამოწვეულია გუნდის ხელმძღვანელობის მიერ მინდობილი საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებით.

აღნიშნული და სხვა ნაკლოვანებები გამოწვეულია იმით, რომ სახალხო განათლების, შინაგან საქმეთა, ავტოსატრანსპორტო და დოსაააფის ადგილობრივი ორგანოები საკმაო კონტროლსა და დახმარებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ უწევენ სასკოლო, რაიონული (საქალაქო) და ზონალური ტურნირების ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტებს.

მოსწავლე ავტომობილისტთა მე-7 რესპუბლიკური შეჯიბრების ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს სსრ ავტოსატრანსპორტო სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს სსრ დოსაააფის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. მოსწავლე ავტომობილისტთა მე-7 რესპუბლიკური შეჯიბრება ჩატარდეს სამ ეტაპად: რაიონული (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური.

რაიონული (საქალაქო) შეჯიბრება ჩატარდეს 1985 წლის 1 მარტამდე, ზონალური — 1985 წლის 25-27 მარტს, ხოლო დასკვნითი რესპუბლიკური — 1985 წლის 10-12 ივნისს.

2. მოსწავლე ავტომობილისტთა მე-7 რესპუბლიკური შეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. კობახიძე მ. კ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

2. შადური ვ. ი. — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

3. შანშიაშვილი ა. ზ.—საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

4. ჩხაიძე თ. დ. — საქართველოს სსრ დოსაააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

5. დობორჯგინიძე ზ. ს. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი, საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი

6. ხაჩიძე მ. ი. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

7. ტატიშვილი თ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი

8. შალამბერიძე გ. გ. — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსი

9. ჯამალაშვილი გ. ზ. — საქართველოს სსრ ავტოსატრანსპორტო სამინისტროს მოძრაობის უსაფრთხოებისა და საგზაო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი

10. დევდარიანი გ. ზ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სექტორის გამგე

11. ტონია ს. კ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

12. კილურაძე მ. — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს აგიტაციისა და პროპაგანდის ქვეგანყოფილების ინსპექტორი

13. წიქარიშვილი პ. გ. — საქართველოს სსრ ავტოსატრანსპორტო სამინისტროს სახალხო კონტროლისა და მოძრაობის უსაფრთხოების უფროსი ინჟინერი

14. მაჩაბელი თ. ს. — საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის განყოფილების გამგე

15. ეპიტაშვილი გ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი

16. ბალაშვილი ვ. მ. — საქართველოს სსრ დოსაავის სპორტულ-ტექნიკური კლუბის „შევარდენის" დირექტორი

3. დამტკიცდეს მოსწავლე ავტომობილისტთა მე-7 რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარების დებულება (თან ერთვის).

4. მოსწავლე ავტომობილისტთა მე-7 რესპუბლიკური შეჯიბრების ჩამტარებელმა რესპუბლიკურმა საორგანიზაციო კომიტეტმა:

4. 1. უხელმძღვანელოს მოსწავლე ავტომობილისტთა შეჯიბრების ჩატარაებას და გაწეული მუშობის მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად მოახსენოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სსრ ავტოსატრანსპორტო სამინისტროსა და საქართველოს სსრ დოსაავის ცენტრალურ კომიტეტს;

4. 2. დროულად ჩაატაროს მოსწავლე ავტომობილისტთა რესპუბლიკური შეჯიბრების მოსამზადებელი მუშაობა და რაიონები (ქალაქები) უზრუნველყოს სახელმძღვანელო და მეთოდური მასალებით;

4. 3. განახორციელოს ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი მოსწავლე ავტომობილისტთა რაიონული (საქალაქო) და ზონალური შეჯიბრებების ჩატარებაზე.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

5. 1. განახორციელონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი მოსწავლე ავტომობილისტთა მე-7 რესპუბლიკური შეჯიბრების რაიონული (საქალაქო) და ზონალური ეტაპების ჩატარებაზე;

5. 2. უზრუნველყონ შეჯიბრების რაიონული (საქალაქო) და ზონალური ეტაპების მიმდინარეობისა და ჩატარების შესახებ ანგარიშების

წარმოდგენა რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში 1985 წლის 15 აპრილამდე;

5. 3. მიიღონ ქმედითი ზომები, რათა მიაღწიონ შინაგან საქმეთა, ავტოსატრანსპორტო და დოსაააფის ადგილობრივი ორგანოების მხარდაჭერასა და დახმარებას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და ავტოსაქმის მასწავლებლებს შეჯიბრებისათვის მზადების პერიოდში ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ნაყოფიერი მუშაობისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

6. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქალაქო და რაიონულ განყოფილებათა უფროსებმა:

6. 1. განახორციელონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი მოსწავლე ავტომობილისტთა მე-7 რესპუბლიკური შეჯიბრების რაიონული (საქალაქო) და ზონალური ეტაპების ორგანიზებულად ჩატარებაზე;

6. 2. დახმარება აღმოუჩინონ მოსწავლე ავტომობილისტთა რაიონული (საქალაქო) და ზონალური შეჯიბრების ჩამტარებელ საორგნიზაციო კომიტეტებს შეჯიბრების ჩატარებისათვის საჭირო პოლიგონების (ტრასების) შერჩევისა და მოწყობის საქმეში;

6. 3. გამოყონ სათანადო სპეციალისტებისაგან მსაჯები მოსწავლე ავტომობილისტთა რაიონულ (საქალაქო) და ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებულთა გამოსავლინებლად;

6. 4. უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით მოსწავლე ავტომობილისტთა შეჯიბრების ჩატარებისათვის უზრუნველყონ ავტომანქანების ტექნიკური დათვალიერება და პოლიგონების (ტრასების) მიმდებარე ტერიტორიაზე შეჯიბრების ჩატარების დღეს მოძრაობის შეწყვეტა.

7. საქართველოს სსრ ავტოსატრანსპორტო სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოებისა და გაერთიანებების უფროსებმა:

7. 1. განახორციელონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი მოსწავლე ავტომობილისტთა მე-7 რესპუბლიკური შეჯიბრების რაიონული (საქალაქო) და ზონალური ეტაპების ორგანიზებულად ჩატარებაზე;

7. 2. დახმარება აღმოუჩინონ მოსწავლე ავტომობილისტთა რაიონული (საქალაქო) და ზონალური შეჯიბრების ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტებს შეჯიბრებისათვის საჭირო პოლიგონების (ტრასების) შერჩევისა და მოწყობის საქმეში;

7. 3. გამოყონ მოსწავლე ავტომობილისტთა რაიონული (საქალაქო) და ზონალური შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის საჭირო ავტომანქანები, ავტობუსები და საწვავ-საცხი მასალები;

7. 4. მოსწავლე ავტომობილისტთა რაიონულ (საქალაქო) და ზო-

ნალურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა გამოსავლინებლად სათანადო სპეციალისტებისაგან გამოყონ მსაჯები.

8. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების დოსაააფის რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომრეებმა:

8. 1. განახორციელონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი მოსწავლე ავტომობილისტთა მე-7 რესპუბლიკური შეჯიბრების რაიონული (საქალაქო) და ზონალური ეტაპების ორგანიზებულად ჩატარებაზე;

8. 2. დახმარება აღმოუჩინონ მოსწავლე ავტომობილისტთა რაიონული (საქალაქო) და ზონალური შეჯიბრების ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტებს შეჯიბრებისათვის საჭირო პოლიგონების (ტრასების) შერჩევისა და მოწყობის საქმეში;

8. 3. გამოყონ მოსწავლე ავტომობილისტთა რაიონული (საქალაქო) და ზონალური შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის ჟიგულის ტარების საჭირო ავტომანქანები და საწვავ-საცხი მასალები;

8. 4. გამოყონ სათანადო სპეციალისტებისაგან მსაჯები მოსწავლე ავტომობილისტთა რაიონულ (საქალაქო) და ზონალურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა გამოსავლინებლად.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბიუჯეტში 1985 წლისათვის გაითვალისწინოს მოსწავლე ავტომობილისტთა მე-7 რესპუბლიკური შეჯიბრებისა და საკავშირო შეჯიბრებაზე გასაგზავნი გუნდის ორკვირიანი საწვრთვნელი შეკრების ჩატარებისათვის საჭირო ხარჯები წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს 1985 წლისათვის გამოუყოს მოსწავლე ავტომობილისტთა მე-7 რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარებისათვის საჭირო რაოდენობის ქაღალდი, ბენზინი და ავტომანქანის საბურავები.

11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი სამხედრო მომზადების სამმართველომ (ამხ. ა. ვაშაკიძე):

11. 1. უშუალო მონაწილეობა მიიღოს მოსწავლე ავტომობილისტთა რაიონული (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარებაში;

11. 2. უზრუნველყოს მოსწავლე ავტომობილისტთა მე-7 რესპუბლიკურ ზონალურ და რაიონულ (საქალაქო) შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების წევრთა მომზადება მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში;

11. 3. უზრუნველყოს მოსწავლე ავტომობილისტთა მე-17 საკავშირო შეჯიბრებისათვის მე-7 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებუ-

ლი გუნდის წევრთა ვარჯიში მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში.

12. მოსწავლე ავტომობილისტთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების ყველა წევრისათვის დაწესდეს სამახსოვრო სამკერდე ნიშნები.

13. გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძე) დააწესოს ერთი პრიზი მოსწავლე ავტომობილისტთა მე-7 რესპუბლიკურ დასკვნით ტურში გამარჯვებული გუნდისათვის, პერიოდულად გამოაქვეყნოს მასალები მოსწავლე ავტომობილისტთა შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ.

14. მოსწავლე ავტომობილისტთა მე-7 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდებისათვის დაწესდეს შვიდი სამახსოვრო პრიზი, მათ შორის:

— საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამი პრიზი;

— საქართველოს სსრ ავტოსატრანსპორტო სამინისტროს სამი პრიზი;

— საქართველოს სსრ დოსაავფის ცენტრალური კომიტეტის ერთი პრიზი.

15. ეთხოვოს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს დააწესოს მოსწავლე ავტომობილისტთა მე-7 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდისათვის სამი პრიზი.

16. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი) და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს (ამხ. გ. შალამბერიძე).

კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. შადური

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი თ. დავითაშვილი

საქართველოს სსრ დოსაავფის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ნანეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მოსწავლე ავტომობილისტთა მე-7 რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარების შესახებ

მოსწავლე ავტომობილისტთა მე-7 რესპუბლიკურ შეჯიბრებას ატარებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ დოსაააფის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს სსრ ავტოსატრანსპორტო სამინისტრო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე, საქართველოს სსრ ავტომობილისტთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური საბჭოსა და საქართველოს სსრ დოსაააფის სპორტულ-ტექნიკური კლუბის „შევარდენის" მონაწილეობით.

შეჯიბრების მიზანი

მოსწავლეთა შორის ავტომობილისა და საავტომობილო სპორტისადმი ინტერესის აღზრდა, სამხედრო-გამოყენებითი ჩვევების გამომუშავება, ფიზკულტურული კომპლექსის მშთ მესამე საფეხურის „ძალა და გამბედაობა" ნორმების შესრულებისადმი ხელის შეწყობა.

შეჯიბრების ჩატარების ორგანიზაცია

შეჯიბრების ორგანიზატორები არიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ დოსაააფის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სსრ ავტოსატრანსპორტო სამინისტრო, საქართველოს სსრ დოსაააფის სპორტულ-ტექნიკური კლუბი „შევარდენი" და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური.

მოსწავლე ავტომობილისტთა მე-7 რესპუბლიკური შეჯიბრება ტარდება სამ ეტაპად — რაიონული (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური, შესაბამისად იქმნება საორგანიზაციო კომიტეტები.

რაიონული (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტი განისაზღვრება 5 წევრით. კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს რაიონის (ქალაქის) სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი.

ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება 11 წევრით, კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს ზონის ცენტრის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი.

ზონალური შეჯიბრების ჩასატარებლად რესპუბლიკა დაყოფილია რვა ზონად, ზონების ცენტრებად შერჩეულია:

1. ქ. სოხუმი — აფხაზეთის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის

2. ქ. ბათუმი — აჭარის ასსრ, მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

3. ქ. ცხინვალი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ხაშურისა და ქარელის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

4. ქ. თბილისი — ქ. თბილისის, ახალქალაქის, ბოლნისის, დმანისისა და თეთრი წყაროს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

5. ქ. ქუთაისი — ქ. ქუთაისის, ამბროლაურის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, ონის, ორჯონიკიძის, საჩხერის, ტყიბულის, ზესტაფონის, ცაგერის, თერჯოლის, ჭიათურის, წულუკიძისა და წყალტუბოს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

6. ქ. რუსთავი — ქ. რუსთავის, ქ. მარნეულის, ახმეტის, გარდაბნის, გურჯაანის, ლაგოდეხის, მარნეულის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის. თელავის, წალკისა და წითელწყაროს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

7. ქ. გორი — ქ. გორის, ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის, ბოგდანოვკის, დუშეთის, მცხეთის, კასპის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

8. ქ. ზუგდიდი — ქ. ზუგდიდის, ქ. ფოთის, ზუგდიდის, აბაშის. გეგეჭკორის, ვანის, სამტრედიის, მესტიის, ხობის, ცხაკაიას, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის.

რაიონული (საქალაქო) ეტაპი ტარდება 1985 წლის 25-26 თებერვალს, რაიონული (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტი იმ გამარჯვებული გუნდის სიას, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა, წარადგენს ზონალურ საორგანიზაციო კომიტეტში 1985 წლის 4 მარტამდე, ზონალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

ზონალური შეჯიბრება ტარდება 1985 წლის 25-27 მარტს ერთდროულად ყველა გუნდისათვის.

ზონალურ ტურში გამარჯვებული გუნდის სიას, რომელმაც მოსწავლე ავტომობილისტთა შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა, ზონის საორგანიზაციო კომიტეტი აგზავნის რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში 1985 წლის 15 აპრილამდე.

მესამე ეტაპი — რესპუბლიკური შეჯიბრება ტარდება 1985 წლის 10-12 ივნისს ქ. თბილისში ერთდროულად რვა გამარჯვებული გუნდისათვის.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდი, რომელიც პირველ ადგილს დაიკავებს, იგზავნება მოსწვლე ვტომობილისტთა მე-17 საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

საკავშირო შეჯიბრებაში გასაგზავნი გუნდის წევრებისა და მათი ხელმძღვანელებისათვის ივლისის თვეში ეწყობა ორკვირიანი საწვრთნელი შეკრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში პირველ, მეორე ,მესამე ადგილებზე გამოსული გუნდის წევრები (მოსწავლე ავტომობილისტები)) ჯილდოვდებიან I, II, III ხარისხის სიგელებითა და ფასიანი პრიზებით.

შეჯიბრებისა და ვარჯიშების ჩატარებისათვის გამოყოფილი ავტომანქანების მომსახურების, გუნდების შეჯიბრების ადგილზე **გასაგზავნ** და უკან დასაბრუნებელ ხარჯებს გაიღებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები და ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველო.

შეჯიბრების მოწყობის, მოსწავლე ავტომობილისტთა ბინითა და კვებით უზრუნველყოფისა და სხვა ხარჯებს გაიღებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ზონების ცენტრების სახალხო განათლების განყოფილებები.

გუნდების შემადგენლობა და უზრუნველყოფა

რაიონულ (საქალაქო) ზონალურ, რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებაზე დაიშვება ის გუნდები, რომლებიც შემდგარია საშუალო სკოლების იმ VIII-X კლასების მოსწავლეებისაგან, რომლებიც ავტოსაქმეს სკოლებში, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში, წრეებში, სექციებში ან ნორჩ ავტომობილისტთა კლუბებში სწავლობენ.

რაიონის (ქალაქის) ნაკრები გუნდი ზონალურ და რესპუბლიკურ დასკვნით შეჯიბრებებში არ დაიშვება, მონაწილე გუნდების რაოდენობას განსაზღვრავენ ორგანიზატორები.

გუნდი შედგება 7 კაცისაგან (ოთხი მონაწილე, მათ შორის ერთი გოგონა, სათადარიგო, მწვრთნელი და ხელმძღვანელი).

გუნდი, რომელშიაც არ მონაწილეობს გოგონა, შეჯიბრებაზე არ დაიშვება.

ხარჯებს შეჯიბრების ადგილზე გასამგზავრებლად და უკან დასაბრუნებლად გაიღებს ის ორგანიზაცია ან დაწესებულება, ვისგანაც გუნდი იგზავნება.

რწმუნებათა შემოწმების დროს გუნდის ხელმძღვანელი (მწვრთნელი) ყველა მონაწილეზე წარმოადგენს შემდეგ საბუთებს:

— პასპორტს ან დაბადების მოწმობას;

— ცნობას სკოლიდან, რომელი სკოლისა და კლასის მოსწავლეა;

— მოწმობას მძღოლის მომზადების სასკოლო, საკლუბო და საწრეო პროგრამის გავლის შესახებ;

— სპორტსმენის სპორტული თანრიგის ჩასათვლელ-საკლასიფიკაციო წიგნაკს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ექიმის დასკვნას შეჯიბრებაზე დაშვების შესახებ;
— ცნობას მშთ ნორმების ჩაბარების შესახებ.

შეჯიბრების ჩატარების ადგილი და დრო
მონაწილეთა მანქანები

ზონალური ტურე ტარდება ზონის ცენტრებში, ხოლო რესპუბლიკური — ქ. თბილისში.

სკოლებში შეჯიბრებისათვის მზადება ტარდება შტატით განკუთვნილ მანქანებზე.

რაიონულ (საქალაქო), ზონალურ და რესპუბლიკურ შეჯიბრებებს ჟიგულის მარკის ავტომანქანებით უზრუნველყოფენ დოსაააფის ადგილობრივი ორგანოები.

შეჯიბრებაზე გუნდები ერთი დღით ადრე ცხადდებიან და შეჯიბრების დამთავრებამდე რჩებიან.

რაიონული (საქალაქო), ზონალური და რესპუბლკიური შეჯიბრების გახსნა, დახურვა და გამარჯვებული გუნდის მოსწავლეთა დაჯილდოება საზეიმო ვითარებაში ტარდება.

შეჯიბრების ჩატარების წესი

შეჯიბრება ტარდება საავტომობილო სპორტის მოქმედი წესებისა და წინამდებარე დებულების თანახმად.

მოსწავლეები ეჯიბრებიან საავტომობილო მრავალჭიდში, რომელიც შეიცავს შემდეგ ელემენტებს:

1. საგზაო მოძრაობის წესების მცოდნეთა კონკურსი;
2. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლა;
3. ჩქაროსნული მანევრირება (ავტომობილის ფიგურული ტარება);
4. ავტოესტაფეტა.

საგზაო მოძრაობის წესების მცოდნეთა კონკურსი ტარდება სპეციალური ბილეთებით. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სპორტსმენს, რომელიც ბილეთზე პასუხის გაცემისათვის დახარჯავს ნაკლებ დროს. საკონტროლო დრო 5 წუთი. საკონტროლო დროს გასვლის შემდეგ სპორტსმენს ბილეთი ჩამოერთმევა.

მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში შეჯიბრი ტარდება სამამულო წარმოების დიოპტიკურ სამიზნიანი ტოზ-12 მცირეკალიბრიანი შაშხანით. მდგომარეობა: წოლითი, ხელიდან ღვედის გამოყენებით. სამიზნე № 7, დისტანცია 50 მეტრი, ვაზნების რაოდენობა — 13 (3 საცდელი და 10 ჩასათვლელი), დრო საცდელ სროლაზე — 3 წუთი, ჩასათვლელზე — 10 წუთი.

ჩქაროსნულ მანევრირებაში ჩართულია ექვსი ფიგურა. მათი განლაგების თანმიმდევრობას განსაზღვრავს მსაჯთა კოლეგია, რომელიც

მიღებულ გადაწყვეტილებას გუნდების ხელმძღვანელებს (მწვრთნელებს) ხელმძღვანელების (მწვრთნელების) თათბირზე გააცნობს. სტარტი ადგილიდან ჩაურთველი ძრავით, მონაწილე დგას ავტომანქანის წინ. მოძრაობისას ავტომობილის კარის გაღება ნებადართულია მხოლოდ უკუსვლის დროს.

ავტოესტაფეტა შედგება ოთხი სავარჯიშოსაგან. თითოეული მონაწილე (მწვრთნელის შეხედულებით) ასრულებს ერთ-ერთ მათგანს.

მონაწილეთა სასტარტო ნომრები წინასწარი წილისყრის შედეგად ნაწილდება.

შედეგების განსაზღვრა

ყოველ ჩასათვლელ ჯგუფში პირადი შედეგები გამოიყვანება ცალკეულ სახეობებში (გარდა ავტოესტაფეტისა) მოპოვებული ადგილისათვის, დარიცხულ ქულათა ჯამის მიხედვით. ქულების რაოდენობა განისაზღვრება შეჯიბრების მონაწილეთა რაოდენობისა და დაკავებულ ადგილებს შორის არითმეტიკულ სხვაობაზე პირველი ადგილისათვის წამახალისებელი სამი ქულის, ხოლო მეორე ადგილისათვის ერთი ქულის დამატებით. საუკეთესოდ ჩაითვლება ის მონაწილე, რომელიც ჩასათვლელ ქულათა მეტ რაოდენობას დააგროვებს.

თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სპორტსმენს, რომელსაც უმაღლესი შედეგი აქვს ჩქაროსნულ მანევრირებაში, თუ მაჩვენებლები ამის შედეგად თანაბარი იქნება, მხედველობაში მიიღება საუკეთესო შედეგი სროლაში.

გუნდური შედეგების განსაზღვრისათვის ყოველ ჩასათვლელ ჯგუფში მონაწილის მიერ მრავალჭიდის კომპლექსში მოპოვებული პირადი ადგილები ხელმეორედ გადაიყვანება ქულებში ზემოთ მოყვანილი სისტემის მიხედვით, რის შემდეგაც ჯამდება იგი. ამ ჯამს ემატება ქულები, რომელიც ავტოესტაფეტაში მოპოვებული ადგილისათვის დაერიცხება გუნდს. საუკეთესოდ ჩაითვლება ის გუნდი, რომელიც ჩასათვლელ ქულათა მეტ რაოდენობას დააგროვებს.

თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება გუნდს, რომელსაც უმაღლესი შედეგი აქვს ავტოესტაფეტაში, ამის შემდეგ, თუ საჭირო იქნება, იმ გუნდს, რომლის შემადგენლობაშიც ერთ-ერთ მონაწილეს მაღალი ადგილი აქვს მოპოვებული.

მრავალჭიდის ერთ რომელიმე სახეობაში საუკეთესო გუნდის გამოსავლინებლად შედარებულ უნდა იქნას მათი აბსოლუტური მაჩვენებელი.

გამარჯვებულთა დაჯილდოება

ზონაში გამარჯვებულ გუნდს და მის წევრებს აჯილდოებს ზონის საორგანიზაციო კომიტეტი გარდამავალი პრიზით, დიპლომებითა და სამახსოვრო თასით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდი, რომელიც პირველ ადგილს დაიკავებს, ჯილდოვდება საქართველოს სსრ ავტოსატრანსპორტო სამინისტროს გარდამავალი პრიზით, ჩემპიონის ლენტით, სამახსოვრო პრიზითა და პირველი ხარისხის დიპლომით, ხოლო გუნდის წევრები ჩემიონის ლენტებით, პირველი ხარისხის სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

გუნდები ,რომლებიც მეორე და მესამე ადგილებს დაიკავებენ, ჯილდოვდებიან დიპლომებით, მათი წევრები კი — სიგელებით.

გუნდი, როემლიც საუკეთესო შედეგს უჩვენებს ჩქაროსნულ მანევრირებაში, ჯილდოვდება საქართველოს სსრ ავტოსატრანსპორტო სამინისტროს პრიზით, მისი წევრები — სიგელებით.

გუნდი, რომელიც საუკეთესო შედეგს უჩვენებს ავტოესტაფეტაში, ჯილდოვდება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზით, მისი წევრები — სიგელებით.

გუნდი, რომელიც საუკეთესო შედეგს უჩვენებს საგზაო მოძრაობის წესების მცოდნეთა კონკურსზე, ჯილდოვდება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრიზით, მისი წევრები კი სიგელებით.

გუნდი, რომელიც საუკეთესო შედეგს უჩვენებს მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში ჯილდოვდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პრიზით, მისი წევრები კი სიგელებით.

პირად ჩათვლაში საპრიზო ადგილზე გამოსული მონაწილეები, ცალკე გოგონები და ცალკე ვაჟები, ჯილდოვდებიან პრიზებითა და დიპლომებით.

საპრიზო ადგილებზე გამოსული გუნდების ხელმძღვანელები და მწვრთნელები ჯილდოვდებიან დიპლომებით.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში ყველა მონაწილეს მიეცემა სამახსოვრო სამკერდე ნიშნები.

განაცხადის მიცემა

შეჯიბრებაში მონაწილეობის შესახებ წინასწარი განაცხადი რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს ეგზავნება არა უგვიანეს 1985 წლის 15 აპრილისა.

საბოლოო განაცხადი შეჯიბრებაში მონაწილეობის შესახებ მსაჯთა კოლეგიას მიეცემა რწმუნებათა შემოწმების დროს. განაცხადები დამტკიცებული უნდა იყოს სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილების მიერ.

დადგენილია განაცხადის შემდეგი ფორმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

№	გვარი, სახელი და მამის სახელი	თანრიგი ავტო-სპორტში	დაბადების წელი და თვე	სკოლის და-სახელება და კლასი	შენიშვნა

რაიმე მიზეზის გამო შეჯიბრებაში გუნდის მონაწილეობაზე უარის შემთხვევაში ხელმძღვანელი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით აცნობოს შეჯიბრების ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტს არა უგვიანეს ერთი თვისა შეჯიბრების დაწყებამდე.

მოსწავლე ავტომობილისტთა რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარების დებულების დანართი

ა ვ ტ ო ე ს ტ ა ფ ე ტ ა

1. პირველი მონაწილე სასტარტო სიგნალის შემდეგ მიირბენს ავტომობილთან, ჩართავს ძრავს და ასრულებს სავარჯიშოს „კლაკნილა", იგი აღინიშნება ოთხი დგარით. შემზღუდველებს შორის მანძილი 7 მეტრია და ქმნის სამ გასავლელს. ამის შემდეგ იგი გააჩერებს ავტომობილს სწორკუთხედში, რომლის ზომებია 330×170 სმ, გამორთავს ძრავას, გადმოდის ავტომობილის კაბინიდან და ხურავს კარებს. ავტომობილის წინა თვლებით სწორკუთხედის ხაზის გადაკვეთის შემდეგ მონაწილე ავტომობილს აჩერებს მხოლოდ ერთჯერადი დამუხრუჭებით.

2. მეორე მონაწილე, როგორც კი პირველი მონაწილის კარებს დახურავს, ასწევს ყუთს, რომლის უჯრედებშიც იმყოფება ექვსი სფერობურთი (სფერო-ბურთების დიამეტრია 11 სმ, ამონაჭერი — უჯრედისა 3 სმ) და მოათავსებს პაპრიზზე, შემდეგ ჩაჯდება ავტომობილის კაბინაში, ჩართავს ძრავას და მიიყვანს მანქანას მომდევნო სწორკუთხედში ისე, რომ არ ჩამოვარდეს სფერო-ბურთები, აჩერებს ავტომანქანას ზემოაღნიშნული წესის თანახმად, თვითონვე იღებს კაპრიტიდან ყუთს სფერობურთებით და დებს წინასწარ მინიშნებულ ადგილზე.

3. მესამე მონაწილე, როგორც კი ყუთს სფერო-ბურთებით მეორე მონაწილე მიწაზე დასდებს, ჩაჯდება მანქანაში და შეასრულებს ვარჯიშს „წრე"-ს, რის შემდეგაც ავტომანქანას ზემოაღნიშნული წესის თანა-

ხმად აჩერებს მომდევნო სწორკუთხედში. სავარჯიშო „წრე“ აღინიშნება ოთხ შემზღუდველით, რომლებიც განლაგებულია ორ რიგად, თითოეულ რიგში ოთხ-ოთხი შემზღუდველით. რიგებს შორის მანძილი 380 სმ-ია.

ცალ-ცალკე რიგებში შემზღუდველები დგას შემდეგი ინტერვალით 260 სმ, 660 სმ, 260 სმ. გარეთა შემზღუდველები ქმნიან სწორკუთხედს, რომლის დიაგონალის სიგრძე 1240 სმ-ის ტოლია. სავარჯიშო „წრის“ შესასრულებლად მონაწილე საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით შემოსწერს წრეს, წრეში შედის სწორკუთხედის გრძელი გვერდის ერთი მხრიდან და გამოდის სწორკუთხედის მეორე გრძელი გვერდის მხრიდან ისე, რომ შემზღუდველები არ წაიქცეს.

4. მეოთხე მონაწილე, როცა მანქანა სწორკუთხედში გაჩერდება, მორბის მანქანასთან, ჩართავს ძრავას და მიემართება ფინიშისაკენ, რომელმაც ბამპერის სიმაღლეზე კრანშტეინებზე დამაგრებული ხის თამასა უნდა ჩამოაგდოს ერთჯერადი დამუხრუჭებით ისე, რომ კეგლები არ წააქციოს, რომლებიც ხის თამასის უკან 30 სანტიმეტრზე დგანან. კეგლებს შორის მანძილი 50 სანტიმეტრია.

ავტოესტაფეტის პირობების დარღვევისათვის საჯარიმო ქულები შემდეგნაირად დაირიცხება:

— ყოველი მონაწილის მიერ არასწორად შესრულებული სტარტისათვის, შემზღუდველის შეხებისათვის — 10 ქულა;

— ყოველი ჩამოვარდნილი სფერო-ბურთისათვის ან წაქცეული კეგლისათვის — 5 ქულა;

— თუ თამასა არაა ჩამოგდებული, ძრავი არაა გამორთული, ავტომობილი არ დგას სწორკუთხედში სწორად — 15 ქულა.

ფინიშის დროდ ითვლება მეოთხე მონაწილის მიერ ავტომობილის გაჩერების მომენტი. ჩასართველი შედეგი გამოიყენება გუნდის მიერ ტროსის გავლაზე წამებით დახარჯული დროისა და დარიცხული საჯარიმო ქულების ჯამის საფუძველზე.

ჩქაროსნული მანევრირება

1. „კლაკნილა“. ხუთი შემზღუდველი დაყენებულია სწორ ხაზზე 585 სმ ინტერვალით და ქმნის ოთხ გასასვლელს. მონაწილემ თანმიმდევრულად უნდა გაიაროს ყველა გასასვლელი ისე, რომ არ შეეხოს შემზღუდველებს. ერთი სავარჯიშო სრულდება წინსვლით, მეორე — უკუსვლით.

2. „შესვლა სადგომზე“. სწორკუთხა მოედანი სიგრძით 625 სმ და სიგანით 195 სმ შემოსაზღვრულია შემზღუდველებით სამი მხრიდან, მეოთხე ღია გრძელი მხარე აღნიშნულია ზედაპირული ხაზით. მონაწილემ უნდა შეიყვანოს და დააყენოს ავტომობილი მოედანზე ისე, რომ არ შეეხოს შემზღუდველებს და ამ ავტომობილის გეგმილი არ ეხებოდეს მოედნის ღია მხარის ზედაპირულ ხაზს.

3. „თაღიანი ჭიშკარი“. ორი კარი სიგანით 185 სმ დადგმული ერთმანეთისაგან 245 სმ-ის მანძილზე. კარები აღინიშნება ჰორიზონტალური კონსულური შემზღუდველებით, რომლებიც იმყოფება 70 სმ სიმაღლეზე. მონაწილემ პირდაპირი სვლით უნდა გაიაროს ორივე „ჭიშკარი“ ისე, რომ არ შეეხოს შემზღუდველებს.

4. „ნაკვალევი“. ორი 15 სმ სიგრძის ცილინდრი ხის ნაჭერი ერთმანეთისაგან 280 სმ-ის დაშორებითაა დადგმული. მონაწილემ წინსვლით უნდა გადაატაროს ავტომობილი ცილინდრულ ნაჭრებზე ისე, რომ ისინი აღმოჩნდეს თვლებს შორის ავტომობილის განივი ღერძის სხვადასხვა მხარეს.

5. „სდექ“. მოედნის ზედაპირზე მოძრაობის მიმართულების პერპენდიკულარულად გავლებულია კარგად შესამჩნევი საღებავით სიგრძით 300 და სიგანით 15 სმ-ის სიგრძის ხაზი. მონაწილემ უნდა გააჩეროს ავტომობილი ისე, რომ პირველივე ცდის ორივე წინა თვლებმა ხაზთან იქონიონ კონტაქტი.

ჩქაროსნული მანევრირების პირობების დარღვევისათვის საჯარიმო ქულები შემდეგნაირად დაირიცხება:

— თითოეულ შემზღუდველზე შეხებისათვის — 10 ქულა;

— კლაკნილას კარის გამოტოვებისათვის — 20 ქულა;

— მანქანის რომელიმე ნაწილის ხაზთან პროექტირებისათვის — 40 ქულა;

— ცილინდრული ხის ნაჭერის შეხებისათვის, ასევე თუ ავტომობილის თვლები გადატარებულ იქნა განივი ღერძის ერთ მხარეს — 20 ქულა;

— „სდექ“ ხაზზე თუნდაც ერთი თვალის კონტაქტის უქონლობისათვის — 40 ქულა.

ფინიშის დროდ ითვლება „სდექ“ ხაზის გადაკვეთა ავტომობილის წინა წერტილით. ჩასათვლელი შედეგი განისაზღვრება საჯარიმო ქულებისა და წამებში დახარჯული დროის ჯამით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო სსრ განათლების სამინისტროს 1984 წლის 29 დეკემბრის ბრძანება № 1031

უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების 1983 წლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდა მასწავლებელთა ათთვიანი სტაჟირების შედეგების შესახებ

1983—1984 სასწავლო წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლამდელ და სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში განაწილდა 1438 უმაღლესი და 195 საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი, რომელთაგან სტაჟირება გაიარა და დადებითი შეფასება მიიღო 885 უმაღლესი განათლების და 99 საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტმა.

როგორც შემოწმებითა და რესპუბლიკის განათლების ორგანოებიდან წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 147 განაწილებული სპეციალისტიდან სტაჟირება გაიარა 77-მა, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 153 განაწილებულიდან 98-მა, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის 299 განაწილებულიდან 172, უცხო ენების ინსტიტუტის 68 კურსდამთავრებულიდან 29, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის 150-დან 122, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის 145-დან 118, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის 96-დან 51. ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის 68-დან 24, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის 68-დან 30-მა და ა. შ.

სულ რესპუბლიკაში სხვადასხვა მიზეზის გამო სტაჟირება არ გაიარა 553 სპეციალისტმა, მათ შორის საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს 27, გათხოვდა 17, გათავისუფლდა 38, განაწილების ადგილზე არ გამოცხადდა 142. სხვადასხვა მიზეზის გამო სტაჟირება გადაუვადდა 123-ს, განათლების განყოფილებათა განკარგულებაშია — 153.

ახალგაზრდა სპეციალისტების ათთვიან სტაჟირებას დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო, ქ. თბილისის ლენინისა და 26 კომისრის, ამბროლაურის, გარდაბნის, ახალციხის, გორის, ზუგდიდის, თელავის, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, ხობის რაიონების განათლების განყოფილებები და შესაბამისად მათი მეთოდური კაბინეტები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქ. თბილისის ლენინისა და 26 კომისრის რაიონების განათლების განყოფილებათა მეთოდური კაბინეტების (გამგეები: მ. აფხაზავა, ლ. სტურუა) კარგი მუშაობა. აღნიშნულ მეთოდკაბინეტებში აღრიცხვაზე ჰყავთ რაიონში განაწილებული სპეციალისტები. სტაჟიორებს გამოყოფილი ჰყავთ ხელმძღვანელები გამოცდილი და უნარიანი მასწავლებლების შემადგენლობიდან, რომლებიც მათ ინდივიდუალური გეგმების შედგენასა და მათ რეალიზაციაში ეხმარებიან. 26 კომისრის რაიონის მეთოდკაბინეტში შე-

ქმნილია „ახალგაზრდა მასწავლებლის სკოლა“, რომელსაც ხელმძღვანელობს სპეციალურად შემდგარი საბჭო (თავმჯდომარე — მეთოდისტი ნ. ბეროზაშვილი), რომელშიც გამოცდილი მოწინავე პედაგოგები შედიან. ისინი საჩვენებელ გაკვეთილებს ატარებენ. აქვე შექმნილია ახალგაზრდა სპეციალისტთა „შემოქმედებითი ჯგუფი“, რომლის წევრები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ პედაგოგიურ კითხვაში, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მუშაობაში, აწყობენ სასწავლო ექსკურსიებს, შეხვედრებს ვეტერან პედაგოგებთან, მეცნიერებისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან.

სტაჟირების საქმეში კარგი მაჩვენებლები აქვთ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ქუთაისისა და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებს. კარგად ხასიათდებიან ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულები ა. გაბისიანი, მ. ცირეკიძე, ი. ლომთაძე (განაწილებულები იყვნენ ამბროლაურის რაიონში), მ. უგრეხელიძე, მ. ახვლედიანი, ე. მუშკუდიანი, ი. ონიანი, მ. გორბელაძე, დ. გოლეთიანი (სამტრედიის რაიონი), დ. ოკუჯავა, გ. კაპანაძე, ვ. კოხოძე, მ. კირთაძე (ცხაკაიას რაიონი), აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები: რ. ჭკადუა, კ. კვარაცხელია და ც. სამუშია, რომლებიც წალენჯიხის რაიონში იყვნენ განაწილებულნი.

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულები მ. პეტროსოვა, მ. მინდორაშვილი, ნ. ანთაძე, ნ. ხუბლაშვილი, ლ. კოვალენკო (გარდაბნის რაიონი) პასუხისმგებლობით მოეკიდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, სკოლაში ყოველმხრივ მომზადებულნი ცხადდებიან, იმაღლებენ იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონეს, პირნათლად ასრულებენ საზოგადოებრივ დავალებებს, მოსწავლეთა და პედაგოგიურ კოლექტივებში კარგი ავტორიტეტით სარგებლობენ.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონში სათანადო ყურადღება არ ეთმობა სტაჟიორებთან მუშაობის საკითხს. ასე მაგალითად, ქ. ქ. ფოთის, ჭიათურის, ახალქალაქის, ბორჯომის, გეგეჭკორის. ლენტეხის, გურჯაანის, დმანისის, დუშეთის, ზესტაფონის, ლაგოდეხის, მახარაძის, ჩხოროწყუს რაიონების განათლების განყოფილებებმა არასრულყოფილი მასალები წარმოადგინეს. მათში ნაჩვენები არ არის თუ როგორ გაიარეს ახალგაზრდა სპეციალისტებმა სტაჟირება. ვინ იყო მათზე მიმაგრებული, გაიგზავნა თუ არა შესაბამის ინსტიტუტებში სასტაჟიორო ფურცლები. ისინი მხოლოდ სტაჟირებაგავლილ სპეციალისტთა სიების და მშრალი ინფორმაციების გამოგზავნით დაკმაყოფილდნენ.

ქ. ქ. რუსთავის, ქუთაისის, ჭიათურის, თბილისის ოქტომბრის რაიონის, ასპინძის, ბოლნისის, ლენტეხის რაიონების განათლების განყოფილებებმა მხოლოდ სამინისტროს მიერ არაერთგზის გაფრთხილებისა და შეხსენების შემდეგ წარმოადგინეს მასალები და ისიც არასრულყო-

ფილი სახით, ხოლო თიანეთის, კასპის, ვანის რაიონების განათლების განყოფილებებს დღემდე არ წარმოუდგენიათ აღნიშნული მასალები, რაც გამოც შეუძლებელი გახდა დაზუსტება იმისა, თუ რამდენმა ახალგაზრდა სპეციალისტმა და როგორ გაიარა ათთვიანი სტაჟირება ამ რაიონებში.

ახალგაზრდა სპეციალისტების ათთვიანი სტაჟირების წარმატებით ჩატარების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს:

1. 1. სისტემატურად შეისწავლონ უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სტაჟირების მიმდინარეობა, შემოწმების შედეგები განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე და შედეგები ყოველი წლის 1 ივლისამდე მოახსენონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ხოლო სასტაჟიორო ფურცლები გაუგზავნონ შესაბამის ინსტიტუტებს და პედაგოგიურ სასწავლებლებს;

1. 2. შეუქმნან ახალგაზრდა სპეციალისტებს მუშაობისათვის ნორმალური პირობები ისე, რომ სტაჟირების პროცესში ახალგაზრდა მასწავლებლებმა შესძლონ უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული მეცნიერული ცოდნის დონის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის, საგნის სწავლების მეთოდიკის, აღმზრდელობითი მუშაობისა და მისი პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევების გამომჟღავნება;

1. 3. შესაძლებლობის მიხედვით უზრუნველყონ დამწყები მასწავლებლები ნორმალური პედაგოგიური დატვირთვით.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ცენტრალურმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ო, თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის და თელავის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა საჭირო დახმარება გაუწიონ რესპუბლიკის მეთოდურ კაბინეტებს და სკოლებს ახალგაზრდა სპეციალისტების სტაჟირების სწორად წარმართვის საქმეში.

3. რაიონების (საქალაქო) მეთოდკაბინეტების გამგეებმა, სკოლის დირექტორებმა გააუმჯობესონ მუშაობა ახალგაზრდა სპეციალისტებთან, პასუხისმგებლობით მოეკიდონ მათთან წარმართული საქმიანობის დეტალურ დოკუმენტურ აღრიცხვას, სისტემატურად მოისმინონ სტაჟიორთა გაკვეთილები, თვალყური ადევნონ მათ პედაგოგიურ და მეთოდურ ზრდას, აუცილებელ მოთხოვნილებად დაუსახონ სასკოლო და რაიონულ საგნობრივ მეთოდგაერთიანებებში აქტიური მონაწილეობა და სხვ.

4. ასპინძის, ახალქალაქის, ბოლნისის, ბორჯომის, გეგეჭკორის, გურჯაანის, დმანისის, დუშეთის, ზესტაფონის, თიანეთის, კასპის, ვანის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მახარაძის, მესტიის ჩხოროწყუს, ქ. ფოთის, ჭიათურის, ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილე-

ბათა გამგეებს (ამხ. ამხ.: დ. ზედგენიძე, ა. გაბრიელიანი, ე. გობეჯიშვილი, გ. ჩადუნელი, ა. ხუროძე, გ. ლუაშვილი, მ. გულიევი, ვ. გოგოლაური, გ. ბურჯანაძე, ვ. ობგაიძე, გ. შაქარაშვილი (ყოფილი გამგე), ა. ენუქიძე, ე. ხმალაძე, მ. ტვილდიანი, მ. ხავთასი, მ. ჩხვიმიანი, ღ. გორდელაძე, გ. ხოჭოლავა, გ. ცხადიაშვილი (ყოფილი გამგე), თ. ანდრიაძე სტაჟირების საქმეში არსებული ნაკლოვანებებისათვის მიეცეთ შენიშვნა.

5. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) განახორციელოს საჭირო კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

მინისტრი ო. ქინქლაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1985 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება

ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების მე-40 წლისთავისა და ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-12 მსოფლიო ფესტივალისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების, მუზეუმების, ოთახებისა და კუთხეების მე-5 რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ

მოსწავლე ახალგაზრდობის ჯანსაღი პატრიოტიზმის, ქვეყნის წარსულისადმი ღრმა პატივისცემის, ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის შემდგომი სრულყოფის მიზნით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. დამტკიცებული დებულების საფუძველზე 1985 წლის 11, 12 მაისს ქ. თბილისში ჩატარდეს მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების, მუზეუმების, ოთახებისა და კუთხეების მე-5 რესპუბლიკური დათვალიერება დევიზით: „ისინი მილიონთა გულებში უკვდავნი დარჩნენ მარად“ და მიეძღვნას იგი ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების მე-40 წლისთავსა და ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-12 მსოფლიო ფესტივალს.

დათვალიერების ჩატარების ორგანიზაცია დაევალოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ინტერნაციონალური აღზრდის კაბინეტს.

2. სახალხო განათლების საქალაქო და რაიონულმა განყოფილებებმა, კომკავშირის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან ერთად, 1985 წლის 15 მარტიდან 30 მარტამდე ჩაატარონ ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების, მუზეუმების, ოთახებისა და კუთხეების მუშაობის საქალაქო და რაიონული დათვალიერება და 1985 წლის 20 აპრილამდე საუკეთესო ობიექტის მუშაობის ამსახველი მასალები რეკომენდაციასთან ერთად წარმოადგინონ რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში შემდეგი მისამართით: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 6, პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე, ინტერნაციონალური აღზრდის კაბინეტი.

1985 წლის 11, 12 მაისს ჩატარდეს შემაჯამებელი სხდომა, სადაც გამოვლინდება გამარჯვებული კოლექტივები.

3. დამტკიცდეს მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების, მუზეუმების, ოთახებისა და კუთხეების მე-5 რესპუბლიკური დათვალიერების საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა (დანართი 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დამტკიცდეს ხარჯთაღრიცხვა და ნება დაერთოს პიონერთა სასახლეს მე-5 რესპუბლიკური დათვალიერებისათვის საჭირო თანხა გაიღოს საკუთარი ბიუჯეტიდან.

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა) და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას (ამხ. ა. ალავერდაშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ლორთქიფანიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი 1

მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების, მუზეუმების, კუთხეებისა და ოთახების მე-5 რესპუბლიკური დათვალიერების საორგანიზაციო კომიტეტი

1. დარჩია მ. დ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე
2. ხაჩიძე მ. ი. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
3. ზარქუა ე. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ალმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი
4. ალავერდაშვილი ა. ი. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე
5. ტატიშვილი თ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი
6. თუთბერიძე ჰ. მ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი
7. ტაბაღუა ი. მ. — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
8. მირესაშვილი ც. ი. — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრის დოცენტი
9. ნემსიწვერიძე თ. ა. — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ალმზრდელობითი მუშაობის კაბინეტის მეთოდისტი
10. გოდერძიშვილი ნ. ი. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორის მოადგილე
11. კობიაშვილი ე. ა. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის პოლიტმასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე
12. მახარაძე ე. პ. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ინტერნაციონალური აღზრდის კაბინეტის გამგე

საქართველოს სსრ პროფსაბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 15 იანვრის დადგენილება

სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდების ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებისათვის რესპუბლიკის პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და სახალხო განათლების ორგანოების მიერ 1984 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებში დასახულია ამოცანა აღმოიფხვრას საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების საქმიანობის შინაარსსა და ორგანიზაციაში სერიოზული ნაკლოვანებები, ამაღლდეს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხი, მოწესრიგდეს მოსწავლეთა კონტინგენტის დაგეგმვა.

რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოები, მოზრდილთა სკოლები, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, 1984 წელს გარკვეულ მუშაობას ეწეოდნენ ამ ამოცანების შესასრულებლად. მიმდინარეობდა მოძრაობა დევიზით: „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს — საშუალო განათლება", გრძელდებოდა საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების რეორგანიზაცია-რაციონალიზაცია, ინერგებოდა სწავლების ახალი ფორმები და მეთოდები, ტარდებოდა სხვა ღონისძიებები საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების სრულყოფისათვის. ყოველივე ეს ხელსაყრელ პირობებს უქმნის ახალგაზრდებს შრომასთან სწავლის შეთავსებისათვის. გრძელდებოდა მუშაობა მასწავლებელთა კადრების დახელოვნებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, სკოლების ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის. მიმდინარეობდა მოწინავე სკოლების და მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილების განზოგადება: ბევრ სკოლაში განმტკიცდა სასწავლო-მატერიალური ბაზა. მასწავლებლები სწავლების პროცესში უფრო მეტად იყენებენ თვალსაჩინოებას, ტექნიკურ საშუალებებს, დასარიგებელ მასალას და ა. შ. შეასრულეს მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმები. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში უკეთეს შედეგებს აღწევენ ქ. ფოთის, ქ. თბილისის მე-5, მე-40, ახმეტის, გორის გურჯაანის, ყვარლის, ლენტეხის, ორჯონიკიძის, თელავის, ხაშურის, ხობის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, აფაზეთის ასსრ სოფლების კუტოლის და განთიადის, აჭარის ასსრ ხულოს და სხვა რაიონების საღამოსა და დაუსწრებელი სკოლები.

დიდი მუშაობა ტარდება რესპუბლიკაში საშუალო განათლების არმქონე ყველა მომუშავე ახალგაზრდის სწავლებაში ჩაბმისათვის. ცენ-

ტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით 1981 წლიდან შედარებით 1984 წელს ამ კატეგორიის 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდების რიცხვი 93634-დან 15743-მდე შემცირდა. მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში ფაქტიურად უკვე იწურება ასეთი ახალგაზრდების რიცხვი. 1984 წელს მოზრდილთა სკოლები დაამთავრა 14086-მა ახალგაზრდამ, ე. ი. საშუალო სკოლებდამთავრებულთაგან ყოველი მე-5 ამ სკოლების გამოშვებულია.

შემცირდა მეორეწლიანობა და მოზრდილთა სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვა. ეს ყველაფერი იმის შედეგიცაა, რომ ბევრგან ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები საჭირო დახმარებას უწევდნენ სახალხო განათლების ორგანოებს და საღამოს სკოლებს. გაუმჯობესდა ადგილებზე დათვალიერების საორგანიზციო კომიტეტების მუშაობა. სამინისტროები და უწყებები მეტ ყურადღებას აქცევენ მოზრდილთა სწავლებას. გრძელდება განათლების სამინისტროს და დარგობრივ სამინისტროთა ერთობლივი ბრძანებების შესრულების შემოწმება მომუშავე ახალგაზრდების საღამოსა და დაუსწრებელი განათლების სრულყოფის საკითხებზე.

მაგრამ მოზრდილთა სწავლების საქმეში კვლავ ადგილი აქვს ნაკლოვანებებსა და სიძნელეებს.

ყველა ქალაქსა და რაიონში სათანადოდ არ მუშაობენ დათვალიერების ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. ზოგან აქტიურად არ მონაწილეობენ ახალგაზრდების სწავლების ორგანიზაციაში. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ დასაჯილდოებლად ადგილებიდან ცოტა რაოდენობითაა წარმოდგენილი კომკავშირული მუშაკები. ზოგან დაბალია საშემსრულებლო დისციპლინა: დათვალიერების შედეგები არ წარმოადგინეს ქ. ქ. ქუთაისიდან, ჭიათურიდან, გორიდან, წყალტუბოდან, ახალქალაქის, ახალციხის, ვანის, დუშეთის, ქარელის, მესტიის, ონის, სიღნაღის, თეთრი წყაროს, წალკისა და ჩხოროწყუს რაიონებიდან.

სკოლების გარკვეულ ნაწილში ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ დგას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. ზოგან ნაჩქარევად, წინასწარი საფუძვლიანი მუშაობის ჩატარების გარეშე, სასწავლო წლის დასაწყისში აკომპლექტებენ სკოლებს მოსწავლეებით, შემდეგ კი ვერ ინარჩუნებენ კონტინგენტს. ბევრ სკოლაში სრულიად არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა მეცადინეობებზე დასწრება, შესუსტებულია შინასასკოლო კონტროლი, კვლავ ვხვდებით თვალის ახვევისა და ფორმალიზმის შემთხვევებს.

არასწორი დაგეგმვის გამო წელს კვლავ არ შესრულდა რესპუბლიკაში მოზრდილთა სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა (93%). განსაკუთრებით ბევრი დააკლეს გეგმის შესრულებას აჭარის ასსრ რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქ. თბილისში,

ქ. ქუთაისში, ახალციხის, მარნეულის, ზუგდიდის, მესტიის, თერჯოლის, წალენჯიხისა და წალკის რაიონებში.

ნაკლოვანებები ხშირად გამოწვეულია იმით ,რომ ფაქტიურად მომუშავე ახალგაზრდების სწავლების მთელი ორგანიზაცია მხოლოდ საღამოს სკოლებზე აქვთ მინდობილი. ზოგან გაუმჯობესების ნაცვლად ამ სკოლების მუშაობის პირობები გაუარესდა და დავიწყებას მიეცა მათი კარგი მუშაობის ტრადიციები. ასეა, მაგალითად, ქ. რუსთავში, ახალციხის, მარნეულის, მესტიის, წალკის რაიონებში.

საქართველოს სსრ პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

საქართველოს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, დათვალიერებაში „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს — საშუალო განათლება“ 1984 წელს მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოვდნენ:

I. პროფკავშირების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშით:

1. გორის რაიონი
2. ყვარლის რაიონი
3. აჭარის ასსრ ხულოს რაიონი

აღინიშნოს: ქ. ფოთის, ქ. თბილისის მე-5, მე-9, მე-40, აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფელ კუტოლის და გაგრის რაიონის სოფელ განთიადის, თელავის, ხობის, ახმეტის, საგარეჯოს, ჩოხატაურის, ხაშურის, ქარელის, ლენტეხის, ორჯონიკიძის რაიონების მოზრდილთა სკოლების კარგი მუშაობა.

აღინიშნოს, აგრეთვე, ისიც, რომ 1984 წელს მუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის, განათლების სამინისტროსა და განათლების უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოებულნი არიან თელავის რაიონული დაუსწრებელი და ქ. თბილისის საღამოს მე-5 საშუალო სკოლები, ხოლო სამინისტროს და ამავე პროფკავშირის კომიტეტის დიპლომებით დაჯილდოებულნი არიან აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფელ კუტოლის დაუსწრებელი და ქ. თბილისის საღამოს მე-40 საშუალო სკოლები.

II. პროფკავშირების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დ ი პ ლ ო მ ი თ:

1. ქ. თბილისის საღამოს მე-9 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

2. ქ. თბილისის საღამოს მე-12 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

3. აფხაზეთის ასსრ ქ. სოხუმის დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

4. აფხაზეთის ასსრ ქ. სოხუმის სასადილოებისა და რესტორნების ტრესტის კოლექტივი

5. აფხაზეთის ასსრ ქ. ტყვარჩელის საღამოს მე-2 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

6. აჭარის ასსრ ხულოს რაიონული დაუსწრებელი სკოლის სოფელ ქვედა თხილვანის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის პედაგოგიური კოლექტივი

7. აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელ ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობა

8. აჭარის ასსრ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის საღამოს სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

9. ცხინვალის რაიონის დასწრებულ-დაუსწრებელი საღამოს საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

10. ქ. ცხინვალის რუსული დასწრებულ-დაუსწრებელი საღამოს საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

11. ქ. ფოთის ელექტრომანქანური გამაძლიერებლების ქარხნის კოლექტივი

12. ქ. ფოთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა

13. ქ. ფოთის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების კოლექტივი

14. ქ. რუსთავის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება

15. აბაშის რაიონის სოფელ ანჯელის მესაქონლეობის კომპლექსის კოლექტივი

16. აბაშის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივი

17. ახმეტის რაიონული დაუსწრებელი სკოლის ოჟიოს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის პედაგოგიური კოლექტივი

18. ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის სასოფლო საბჭოს აღმასკომი

19. ბოლნისის რაიონის მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი

20. გარდაბნის რაიონის სოფელ ნაზარლოს საღამოს სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

21. გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკა

23. გურჯაანის რაიონული დაუსწრებელი სკოლის სოფელ ვაზისუბნის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის პედაგოგიური კოლექტივი

24. ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა

25. ლანჩხუთის რაიონის სოფელ აკეთის კოლმეურნეობის გამგეობა

26. ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩიბათის კოლმეურნეობის გამგეობა

27. მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიხის კოლმეურნეობის გამგეობა

28. მაიაკოვსკის რაიონის ადგილმრეწველობის კომბინატი

29. სამტრედიის საშენ მასალათა კომბინატის პროფკავშირული ორგანიზაცია

30. სამტრედიის საშენ მასალათა კომბინატის კომკავშირული ორგანიზაცია

31. ხაშურის საგალანტერიო ფაბრიკის დირექცია და პარტბიურო

32. ხაშურის რაიონის სოფელ გომის სასოფლო საბჭო

33. ხობის რაიონის სოფელ შუა ხორგის სამკურნალო მცენარეთა მეურნეობის დირექცია

34. ხობის რაიონის სოფელ ხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა

35. ხობის რაიონული დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის სოფელ ქვემო ქვალუნის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის პედაგოგიური კოლექტივი

36. ჩოხატაურის რაიონული დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის სოფელ კოხნარის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის პედაგოგიური კოლექტივი

37. ჩოხატაურის რაიონული დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის სოფელ ზოტის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის პედაგოგიური კოლექტივი

38. ჩოხატაურის რაიონული დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის სოფელ სამების სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის პედაგოგიური კოლექტივი

39. ჩოხატაურის რაიონული დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის ბასილეთის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის პედაგოგიური კოლექტივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით:

1. ცერცვაძე ე. ე. — ქ. თბილისის საღამოს მე-5 საშუალო სკოლის მასწავლებელი

2. სიხარულიძე ვ. ა. — ქ. თბილისის საღამოს მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელი

3. მარიმიქოიანი ლ. ხ. — ქ. თბილისის საღამოს მე-16 საშუალო სკოლის დირექტორი

4. კოჟემიაკინა მ. რ. — ქ. თბილისის საღამოს მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებელი

5. კავთიაშვილი გ. გ. — ქ. თბილისის სამოდელო ფეხსაცმელების ფაბრიკის კადრების მომზადების უფროსი

6. გოგუაძე ვ. დ. — ქ. თბილისის ქარხანა „ცენტროლიტის" პარტორგანიზაციის მდივანი

7. აბრამიძე ზ. — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს შრომისა და ხელფასის სტატისტიკის განყოფილების უფროსი

8. გურჩიანი ნ. დ. — ქ. სოხუმის დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის მასწავლებელი

9. ფოცხვერია შ. მ. — ქ. სოხუმის დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის დირექტორი

10. ტაბაღუა წ. ა. — აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობა „კუტოლის" პარტკომის მდივანი

11. კაკალია გ. თ. — აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობა „კუტოლის" პროფკომის თავმჯდომარე

12. ჩხეტია ა. ნ. — აფხაზეთის ასსრ ქ. ტყვარჩელის განათლების განყოფილების გამგე

13. დავითაძე თ. ჭ. — აჭარის ასსრ შუახევის რაიონული დაუსწრებელი სკოლის დირექტორი

14. აბულაძე ლ. შ. — აჭარის ასსრ ხელვაჩაურის რაიონული დაუსწრებელი სკოლის დირექტორი

15. გოგოტიძე მ. ბ. — აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი

16. შავაძე ი. ვ. — აჭარის ასსრ ხულოს რაიონული დაუსწრებელი სკოლის მეთოდისტი

17. ხუბულოვი ზ. დ. — ცხინვალის რაიონის სოფელ არცევის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე

18. გიუნაშვილი გ. გ. — ცხინვალის რაიონის სოფელ ქსუისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე

19. კვიჟინაძე გ. ვ. — კოლხეთის სასოფლო-სამეურნეო კომპლექსური საცდელი სადგურის დირექტორი

21. ჯიქია ბ. ხ. — ქ. ფოთის 1-ლი დასწრებულ-დაუსწრებელი საშუალო სკოლის მასწავლებელი

22. ხოფერია დ. ხ. — ქ. რუსთავის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი

23. მელიქიძე შ. ა. — ქ. რუსთავის საღამოს მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი

24. კახიანი გ. ნ. — ქ. რუსთავის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების პარტკომის მდივანი, გაერთიანების დათვალიერების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

25. კბილაძე ნ. გ. — ქ. ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს პარტბიუროს მდივანი

26. აბულაძე ზ. გ. — ქ. ტყიბულის ზონის სოფელ კურსების გრანიტის ქარხნის დირექტორი

27. სანიკიძე ბ. გ. — „საქნახშირის" საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი

28. სურმავა ლ. ვ. — აბაშის რაიონული დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის სოფელ კეთილარის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე

29. აბულაძე შ. კ. — ადიგენის რაიონის სოფელ ჩორჩნის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე

30. ნარიმანიშვილი ნ. ი — ადიგენის რაიონის სოფელ ბოხის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე

31. ბალაკაშვილი ა. ბ. — ახმეტის რაიონის სოფელ პირველი მატნის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

32. მურთაზაშვილი ნ. ი. — ახმეტის რაიონული დაუსწრებელი სკოლის სოფელ ალვანის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე

33. მამედოვი გ. კ. — გარდაბნის რაიონის დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის დირექტორი

34. ცაავა მ. ვ. — გეგეჭკორის რაიონული დაუსწრებელი სკოლის სოფელ სალხინოს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე

35. წურიაშვილი ც. ვ. — გორის რაიონული დაუსწრებელი სკოლის სოფელ ფხვენისის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე

36. ანესაშვილი ს. რ. — გორის რაიონული დაუსწრებელი სკოლის სოფელ ხელთუბნის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე

37. აბულაძე მ. ა. — გორის რაიონული დაუსწრებელი სკოლის ვარიანის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის მასწავლებელი

38. მებადური რ. ვ. — გორის რაიონული დაუსწრებელი სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში

39. ბაშინჯაყელი რ. გ. — გორის რაიონული დაუსწრებელი სკოლის მეთოდისტი

40. იმერლიშვილი რ. ვ. — გურჯაანის რაისაბჭოს აღმასკომის მდივანი, დათვალიერების რაიონული საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

41. ბაშარული მ. ი. — გორის რაიონული დაუსწრებელი სკოლის მეთოდისტი

42. მღებრიშვილი რ. ი. — გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

43. ჩახნაშვილი ლ. ი. — გურჯაანის რაიონული დაუსწრებელი სკოლის მასწავლებელი

44. კვეტენაძე გ. გ. — ზესტაფონის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, დათვალიერების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

45. კაპანაძე გ. ა. — ზესტაფონის რაიონული დაუსწრებელი სკოლის მასწავლებელი

46. ბოჭორიშვილი ნ. ი. — ზესტაფონის რაიონული დაუსწრებელი სკოლის მასწავლებელი

47. მოსიაშვილი უ. ჩ. — კასპის ელექტროაპარტის ქარხნის დირექტორი

48. მებალიშვილი კ. პ. — ყვარლის რაიონის ეთერზეთების ქარხანა-მეურნეობის დირექტორი

49. კევლიშვილი ვ. ე. — ყვარლის რაიონის სოფელ გრემის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

50. პავლიაშვილი ნ. ა. — ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე

51. ალიევი მ. მ. — ყვარლის რაიონის სოფელ ჩანტლისყურის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე

52. ჭეიშვილი ლ. ა. — ლანჩხუთის რაიონული დაუსწრებელი სკოლის სოფელ აკეთის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე

53. ბებიაშვილი ნ. პ. — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ვარციხის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

54. ჩინაშვილი შ. ვ. — მცხეთის ტრიკოტაჟის ფაბრიკის დირექტორი

55. პაპავა ე. ვ. — ორჯონიკიძის რაიონული დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის სოფელ ხიდრის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე

56. გელაშვილი ბ. ა. — ორჯონიკიძის რაიონული დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის სოფელ ნადაბურის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე

57. მჭედლიშვილი გ. ი. — საგარეჯოს რაიონული დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის სოფელ კაკაბეთის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის მასწავლებელი

58. ალახვერდოევი ნ. მ. — საგარეჯოს რაიონული დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის სოფელ დუზაგრამის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე

59. გურული ა. ა. — საჩხერის რაიონული დაუსწრებელი სკოლის დირექტორი

60. კალანდაძე გ. ი.—ჩოხატაურის რაიონული დასწრებულ-დაუსწ-რებელი სკოლის მეთოდისტი

61. მინდაძე ლ. ვ. — ჩოხატაურის რაიონული დასწრებულ-დაუსწ-რებელი სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი დარგში

62. კობალაძე თ. ი. — აჭარის ასსრ ხულოს რაიონული დაუსწრებე-ლი სკოლის სოფელ დიდი რიყეთის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქ-ტის გამგე

63. ასანიძე გ. ბ. — რესპუბლიკური დაუსწრებელი სკოლის მარ-ნეულის რაიონის სოფელ წერეთლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქ-ტის გამგე

64. კალამკაროვი გ. გ. — ქ. თბილისის საღამოს სკოლების მეთოდ-კაბინეტის მეთოდისტი

IV. სამკერდე ნიშნით „საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებული“:

1. ბერძენიშვილი მამია კარპეზის ძე — ჩოხატაურის რაიონული დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის დირექტორი

2. ჯინჭარაძე ნაზი დიომიდეს ასული — ქ. ფოთის ქართული სა-ღამოს სკოლის მეთოდისტი

3. გალოგრე ნოდარ კირილეს ძე — ლანჩხუთის რაიონის განათლე-ბის განყოფილების სასკოლო ინსპექტორი

4. მუსტაფაევი ბინატ ჯაფარ ოღლი — რესპუბლიკური დაუსწრებე-ლი სკოლის გარდაბნის რაიონის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე

5. ონიანი მურმან ომეხის ძე — ლენტეხის რაიონული დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის დირექტორი

6. ფანქველაშვილი კუკური გიორგის ძე — ხაშურის რაიონის დაბა-სურამის საღამოს სკოლის დირექტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საკავშირო დათვალიერებაში — „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს — საშუალო განათლება“ საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის წარდგენილ იქნას საკავშირო ჯილდოებზე:

I. პროფკავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს დიპლომზე:

1. აფხაზეთის ასსრ გაგრის რაიონის სოფელ განთიადის დასწრებულ-დაუსწრებელი საშუალო სკოლა
2. საწარმოო გაერთიანება „საქნახშირი“

II. სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელზე:

1. დანელია ნიაზი ვლადიმერის ძე — ქ. თბილისის საქარხნო რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი
2. ტაბატაძე ივანე ილიას ძე — ხაშურის რაიონული დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის დირექტორი
3. რევაზიშვილი მაყვალა იოსების ასული — გურჯაანის რაიონული დაუსწრებელი სკოლის სოფელ ვაზისუბნის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის მეთოდისტი
4. ინასარიძე ბორის იაკინთეს ძე — ტრესტ „კოლხეთმშენის“ მმართველი
5. ლეჟავა მერი ბაგრატის ასული — საგარეჯოს სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, დათვალიერების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

III. სამკერდე ნიშანზე „სსრ კავშირის სახალხო განათლების წარჩინებული“

1. კვაჭაძე ზინაიდა არსენის ასული — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი
2. ნიჟარაძე ავთანდილ შალვას ძე — აჭარის ასსრ ხულოს რაიონული საშუალო სკოლის დირექტორი

3. მირზოიანი ედვარდ გრიგოლის ძე — ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი

4. ანესაშვილი რობერტ სურენის ძე — გორის რაიონული დაუსწრებელი სკოლის დირექტორი

საქართველოს სსრ პროფსაბჭოს
თავმჯდომარე თ. მოსაშვილი

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ო. ქინქლაძე

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
მდივანი ვ. ლორთქიფანიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

გადაწყვეტილება — ძეგლის ნორჩ მეგობართა მე-4 რესპუბლიკური შეკრება-კონკურსის „ჩუქურთმის“ შედეგებისა და მე-5 რესპუბლიკური შეკრება-კონკურსის ჩატარების შესახებ 3

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გეოგრაფიის სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 16

Решениие — о состоянии преподавания русского языка и работе с допризывной молодежью и призывниками по обучению их русскому языку в общеобразовательных школах республики в свете требований реформы 32

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა შემდგომი სწავლების, შრომითი მოწყობის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 37

გადაწყვეტილება — 1984—1985 სასწავლო წლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოებით, მეთოდური და სხვა სახის ლიტერატურით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ 43

გადაწყვეტილება — მოსწავლე ავტომობილისტთა მე-6 რესპუბლიკური შეჯიბრების შედეგებისა და მე-7 რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარების შესახებ 52

ბრძანება № 1031 — უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების 1983 წლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდა მასწავლებელთა ათთვიანი სტაჟირების შედეგების შესახებ 63

გადაწყვეტილება — ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების მე-40 წლისთავისა და ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-12 მსოფლიო ფესტივალისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების, მუზეუმების, ოთახებისა და კუთხეების მე-5 რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ 72

დადგენილება — სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდების ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებისათვის რესპუბლიკის პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და სახალხო განათლების ორგანოების მიერ 1984 წელს გაწეული მუშაობის შესახებ 75

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 26/III-85 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/V-85 წ.;
ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 9$; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 5,50
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5;

შეკვეთა № 216 უე 11521 ტირაჟი 60000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения ГССР, ул. Нуцубидзе № 7